პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНКСОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 9 ოქტომბერი, 1948 წ. № 201 (8245). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას—შეუნელებელი ყურადღება—მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მისალმება გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციას (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
თბილისის მრეწველობის 1948 წლის 9 თვის მუშაობის შედეგები (1-ლი გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
პ. სოხაძე — მევენახეთა საბრძოლო ამოცანები (მე-2 გვერდი).
ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა უშიშროების საბჭოს სხდომაზე 1948 წლის 5 ოქტომბერს (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე (მე-3 გვერდი).
უშიშროების საბჭოში (მე-4 გვერდი).

## მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას—შეუნელებელი ყურადღება

იდეოლოგიურ მუშაობას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას ცენტრალური ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიის მოღვაწეობაში. განსაკუთრებით გაზრდილია იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობა ახლა, როცა მთელ ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა ახალი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის, სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღიური მუშაობით მიაღწიონ კომუნისტების თეორიული აღზრდის, იდეოლოგიური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ამ ამოცანის ღრმა შეგნებით ემზადებოდნენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დასაწყებად. დიდი მუშაობა იქნა გაწეული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და პოლიტსკოლების დასაკომპლექტებლად, პროპაგანდისტთა კადრების შესარჩევად. პროპაგანდისტულ სამუშაოზე წამოყენებულ იქნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი რესპუბლიკის ქალაქებში. წრეებისა და პოლიტსკოლების პირველსავე მეცადინეობაზე გამომჟღავნდა ის დიდი დაინტერესება, რასაც კომუნისტები იჩენენ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისადმი. ნაკლოვანებანი მაინც იყო. იმის გამო, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საჭირო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა მეცადინეობის მოწყობას, ზოგან პირველ მეცადინეობაზე ყველა მსმენელი არ გამოცხადდა. იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებიც. მაგალითად, ზესტაფონის პურის ქარხანაში ჩაიშალა პოლიტსკოლის პირველი მეცადინეობა. ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების პარტიულ ორგანიზაციაში პოლიტსკოლის მეცადინეობაზე 13 კომუნისტიდან მხოლოდ 5 გამოცხადდა, ხოლო საავადმყოფო-პოლიკლინიკის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობა 4 მსმენელმა გააცდინა. ასეთ შემთხვევებს სხვაგანაც ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ წრეებსა და პოლიტსკოლებში. მსგავსი ფაქტები წრეებისა და პოლიტსკოლების შემდგომ მუშაობაში სავსებით უნდა აღიკვეთოს.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ ამთავითვე სრული წესრიგი დაამყარონ პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში. ცხადია, პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობა მარტო მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების ორგანიზაციით არ ამოიწურება. მთავარია თვით მეცადინეობის იდეური დონე, პროპაგანდისტების მუშაობისა და მსმენელთა მიერ გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი. აუცილებელია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მტკიცე კონტროლი დააწესონ პარტიული განათლების ქსელის მთელ მუშაობაზე, შეუნელებლად იზრუნონ წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობის მაღალი ხარისხისათვის.

პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანაა პროპაგანდისტთა თეორიული დონისათვის ყოველდღიური ზრუნვა, რადგან სწორედ პროპაგანდისტთა მომზადების დონეზეა დამოკიდებული პარტიული განათლების ქსელის მუშაობის ხარისხი. პროპაგანდისტთა სემინარები განუწყვეტლივ და მაღალ იდეურ დონეზე უნდა მიმდინარეობდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პროპაგანდისტი მეცადინეობაზე ყოველთვის მომზადებული ცხადდებოდეს.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების უმნიშვნელოვანეს მეთოდს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა წარმოადგენს. ჩვენი კადრების დიდი ნაწილი ბოლშევიკური პარტიის ისტორიასა და თეორიას დამოუკიდებლად სწავლობს. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მტკიცე დისციპლინა და ყოველდღიური კონტროლი დააწესონ ამ საქმეში. წარსული წლების გამოცდილებით ვიცით, რომ იქ, სადაც დამოუკიდებლად შესწავლის საქმისადმი მტკიცე კონტროლი არ არსებობს, თავს იჩენს ფორმალიზმი. არც თუ ცოტა იყო ისეთი შემთხვევა, როცა კომუნისტები დამოუკიდებლად შემსწავლელთა სიაში ირიცხებოდნენ და ფაქტიურად არ მუშაობდნენ თეორიის დასაუფლებლად. ასეთი რამ კვლავ აღარ უნდა განმეორდეს. მკაცრი კონტროლის დანერგვით, კომუნისტებთან სისტემატური საუბრებით სრული წესრიგი უნდა დამყარდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის საქმეში. ამასთან დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს ქმედითი დახმარება უნდა გავუწიოთ კვალიფიციური ლექციებით, მოხსენებებით, კონსულტაციებით. უკლებლივ ყველა კომუნისტი უნდა სწავლობდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, პარტიული განათლების საქმე პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

მტკიცედ გვახსოვდეს, რომ იდეოლოგიური მუშაობის ხარისხზე, ჩვენი კადრების თეორიულ დონეზე, მასების კომუნისტურ შეგნებაზე დამოკიდებულია სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, ჩვენი პარტიის, ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა.

---

მოსკოვი, კრემლი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე ს ტ ა ლ ი ნ ს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ კურსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე, 1948 წლის 5 ოქტომბერს შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 3 მილიონ 778 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. სასურსათო კულტურები — ხორბალი და ჭვავი დამზადებულია 7 მილიონ 843 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე 1947 წელს.

პურის ჩაბარება გრძელდება.

**საკავშირო კ. პ. (ბ) კურსკის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. დორონინი**

**კურსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი დ. ტარასოვი**

**დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული კურსკის ოლქში ი. კულიკოვი**

**სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი ა. კუზნეცოვი**

---

მოსკოვი, კრემლი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე ს ტ ა ლ ი ნ ს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ კიროვოგრადის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 500 ათასი ფუთი პურის ჩაბარების შესახებ.

1948 წლის 1 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 723 ათასი ფუთი მარცვლეული.

სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით პურის ჩაბარება გრძელდება.

**უკრაინის კ. პ. (ბ) კიროვოგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი გ. პეტროვი**

**კიროვოგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. იუჩენკო**

**დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული კიროვოგრადის ოლქში ს. გვოზდეცკი**

**სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ვ. კომიახოვი**

---

## გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მგზნებარე სალამს უძღვნის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მებრძოლ ორგანოს გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ მისი სახელოვანი 30-ე წლისთავის დღეს.

30 წლის მანძილზე გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ ლენინ-სტალინის დიადი იდეების პროპაგანდას ეწევა საბჭოთა მეომრებს შორის, წმინდად იცავს და განაგრძობს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის შესანიშნავ ტრადიციებს.

დიდი სამამულო ომის წლებში „ლენინსკოე ზნამია“ საბჭოთა არმიის მეომრებს უნერგავდა სამშობლოსადმი სიყვარულს, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგულებას, მტრისადმი სიძულვილს და უშიშარობას დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში გაზეთი დიდ დახმარებას უწევს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლაში, დაუღალავად მუშაობს მეომართა შორის სამხედრო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და ჯარების საბრძოლო მზადყოფნის შესახებ ამხანაგ სტალინის მოთხოვნათა წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოსთქვამს, რომ გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ უფრო აამაღლებს პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის დონეს, კვლავაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ერთგული თანაშემწე იქნება საბჭოთა მეომრების პოლიტიკური აღზრდისა და საბრძოლო სრულყოფის საქმეში.

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

---

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ დაარსების 30 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკები:

კოლცოვი ნიკოლოზ მიხეილის-ძე,
დარასელი ვანიონ ალექსის-ძე,
შამათავა პეტრე იულონის-ძე,
სურგულაძე აკაკი ნესტორის-ძე,
გლადკიხ პეტრე ივანეს-ძე,
კვახაძე ალექსანდრე სამსონის-ძე,
ფირსოვი კონსტანტინე სერგის-ძე,
კრასილნიკოვი ალექსანდრე ივანეს-ძე,
მახარაძე ვალერიან ისიდორეს-ძე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 8 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

---

## თბილისის მრეწველობის 1948 წლის 9 თვის მუშაობის შედეგები

შეჯამებულია საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მრეწველობის 1948 წლის განვლილი ცხრა თვის მუშაობის შედეგები.

ქალაქის მრეწველობამ 102,2 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა. სექტემბერში გეგმა შესრულებულია 107,3 პროცენტით.

სარეწაო კოოპერაციის არტელებმა 9 თვის გეგმა შეასრულეს 107,8 პროცენტით, ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა — 106,7 პროცენტით.

საქართველოს სსრ სამინისტროების თბილისის საწარმოებმა გეგმა შეასრულეს: საშენ მასალათა მრეწველობის — 111,9 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფის — 111 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის — 108,1 პროცენტით, საგემოვნო მრეწველობის — 106,2 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის — 106 პროცენტით, კვების მრეწველობის — 104,1 პროცენტით, სატყეო მრეწველობის — 103,7 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის — 103,1 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის — 103 პროცენტით.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოებმა 9 თვის გეგმა 120 პროცენტით შეასრულეს და პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებმა — 109,2 პროცენტით.

განსაკუთრებით წარმატებითი მაჩვენებლები მოიპოვა თბილისის მრეწველობამ სექტემბერში. ეს მოწმობს ახალ შრომითს აღმავლობას ქალაქის საწარმოებში, რომლებიც საქმიანად გამოეხმაურნენ მოსკოველთა მოწოდებას ზეგეგმითი დაგროვების შესახებ და ახალი ძალით აჩაღებენ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. (საქინფორმი).

---

## აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით შეტეხეს 2.063 ათასი ზონარმეტრი თამბაქო.

თამბაქოს აღება გრძელდება.

---

## სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სახელმწიფო სანერგეებმა შეასრულეს ციტრუსოვანთა მყნობის 1948 წლის სახელმწიფო გეგმა

სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სახელმწიფო სანერგეებმა 1 ოქტომბრისათვის 102,4 პროცენტით შეასრულეს ციტრუსოვანთა მყნობის გეგმა. მათ შორის: ლიმონის — 105,2 პროცენტით, ფორთოხლისა — 100 პროცენტით და მანდარინისა — 101,8 პროცენტით.

---

## როგორ ასრულებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებებს

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთაც ვადამდე შეასრულეს 1948 წლის მოსავლის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, წარმატებით იბრძვიან ახალი, დამატებითი ვალდებულებების შესასრულებლად.

**მახარაძის** რაიონის მეჩაიეებს ნაკისრი აქვთ გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 2.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 5 ოქტომბრისათვის ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილი ჰქონდათ 1.427,2 ტონა.

**ქობულეთის** რაიონის მშრომელთა ვალდებულებაა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.500 ტონა ჩაი, მოკრეფილი აქვთ 872 ტონა.

**ლანჩხუთის** რაიონის მეჩაიეებმა პირობა დასდეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 700 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულების ანგარიშში მათ უკვე მოკრეფილი აქვთ 488,8 ტონა.

**ბათუმის** რაიონის მეჩაიეებს ნაკისრი აქვთ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ვალდებულების ანგარიშში ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 203,3 ტონა.

**ზუგდიდის** რაიონის მეჩაიეებმა იკისრეს მისცენ ჩვენს ქვეყანას წლიური გეგმის გადამეტებით 500 ტონა ჩაის ფოთოლი, ამ ანგარიშში მათ მოკრიფეს 12,3 ტონა.

---

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

## სექტემბრის მუშაობის შედეგები

### ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა

ლითონდამმუშავებელი საწარმოების მოსამზადებელ საამქროთა სტახანოველების შეჯიბრება პროფესიების მიხედვით წარმატებით გრძელდება. სტახანოველი ლითონმსხმელები, მჭედლები და ზეინკლები ამ შეჯიბრებაში მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს ავლენენ, გამომუშავების დღიურ ნორმებს ორ-სამმაგად ასრულებენ.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ლითონმსხმელებს შორის სექტემბერში კვლავ პირველობას ინარჩუნებს შეჯიბრების ინიციატორი თ. ლორთქიფანიძე, რომელმაც სექტემბრის დავალება 270 პროცენტით შეასრულა. მეორე ადგილზეა ნ. ანისიმოვი,—მისი საწარმოო მაჩვენებელია 210 პროცენტი. ლითონმსხმელმა გ. ლაგრაძემ სექტემბერში ორი ნორმა გამოიმუშავა.

წარჩინებულმა მჭედელმა ქ. ილურიძემ სექტემბრის დავალება 298 პროცენტით შეასრულა. მეორე ადგილზეა ვ. გამხუაშვილი, რომელმაც გეგმა შეასრულა 290 პროცენტით, მესამეზე მ. გუგულაშვილი—გეგმა შეასრულა 204 პროცენტით.

ზეინკლებმა ი. მამუჩაშვილმა და შ. შენგელიამ სექტემბრის დავალებანი 332 პროცენტით გაანაღდეს, ვ. ბურჭულაძემ — 250, ხოლო გ. იაშვილმა — 210 პროცენტით.

პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე ყველა ეს სტახანოველი დიდიხანია შემდგომი ხუთწლედის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

### 26 კომისრის სახელობის ქარხანა

წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად გაჩაღებული შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორი, 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივი მთელი ენერგიით მუშაობს ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად. მანქანათმშენებლებმა ცხრა თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 12 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის გამოშვება. ამ წარმატებას ხელს უწყობენ ქარხნის წარჩინებული სტახანოველები — პროფესიათა მიხედვით შეჯიბრების მონაწილენი.

ლითონმსხმელებს შორის სექტემბერში პირველობა მოიპოვა ნ. ბალაშვილმა, რომელმაც გეგმა შეასრულა 326 პროცენტით. მეორე ადგილზე გამოვიდა ნ. ჩოხელი—გეგმა შეასრულა 249 პროცენტით, მესამეზე ნ. კანდაკოვი—221 პროცენტით.

მჭედლებს შორის სექტემბერში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ი. სპიცინმა და ა. არეშოვმა, რომლებმაც ოთხ-ოთხი ნორმა გამოიმუშავეს. სტახანოველ ვ. კორძაძის საწარმოო მაჩვენებელია 369 პროცენტი.

მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ ზეინკლები ნ. თეიმურაზოვი, ვ. ჯარიაშვილი და შ. ბათუმაშვილი. პირველმა სექტემბრის დავალება 396 პროცენტით შეასრულა, მეორემ—332, ხოლო მესამემ—288 პროცენტით.

### სპილენძსაგლინავი ქარხანა

სპილენძის მგლინავები სასახელოდ ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულების შესახებ. ქარხნის კოლექტივმა ცხრა თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 36 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში სექტემბერში მდნობელთა ვ. ბენდიანიშვილის ბრიგადამ, რომელშიც შედიან გ. მჭედლიშვილი და ვ. მიშენკო, სპილენძის გამოდნობის თვიური დავალება 102,4 პროცენტით შეასრულა.

მგლინავთა ბრიგადამ (ბრიგადირი ნ. შომახია, წევრები მ. სეფაშვილი, გ. კვირიკაშვილი, ს. სეხნიაშვილი და გ. რაზგოევი) ნორმით გათვალისწინებული 44 ტონის ნაცვლად გაგლინა 55 ტონა სპილენძი და გეგმა შეასრულა 112,2 პროცენტით.

### სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანა

პროდუქციის გამოშვების ზრდა გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით 14,4 პროცენტით, 9 თვის გეგმის საგრძნობი გადაჭარბებით შესრულება როგორც საერთო პროდუქციის, ისე ასორტიმენტის მიხედვით — ასეთი მაჩვენებლებით დაამთავრა მესამე კვარტალი თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივმა.

ამ წარმატებათა მოპოვებას დიდად უწყობენ ხელს პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში ჩაბმული სტახანოველები. სექტემბერში ლითონმსხმელებს შორის პირველობა მოიპოვა დ. მატვეევმა, რომელმაც თვიური დავალება 270 პროცენტით შეასრულა. მეორე ადგილზეა გ. აკოფოვი, რომლის საწარმოო მაჩვენებელია 260 პროცენტი, მესამეზე ვ. ჯიშკარიანი—გეგმა შეასრულა 245 პროცენტით.

მჭედლებს შორის ყველას გაუსწრო მ. ოგანეზოვმა, რომელმაც დავალება 290 პროცენტით შეასრულა. გ. არაბიძის საწარმოო მაჩვენებელია 283 პროცენტი, ხოლო შ. ბოდოკიასი—212 პროცენტი.

ზეინკლებს შორის პირველ ადგილზეა დ. დოლიძე, რომელმაც 165 პროცენტით გადააჭარბა გეგმის დავალებას, მეორეზე გ. ტეხმიშიანი—გეგმა შეასრულა 252 პროცენტით, კომკავშირელმა მჭედელმა ა. ქაჯაიამ გეგმა 213 პროცენტით შეასრულა.

---

## საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს მოწინავე საწარმოებმა წლიური გეგმა შეასრულეს

საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადამდე სამი თვით ადრე, პირველი ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს როგორც საერთო, ისე ძირითადი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. „საქართველოს ჩაის“ ტრესტმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა 100,3 პროცენტით, მათ შორის ბობოყვათის ჩაის ფაბრიკამ — 122,9 პროცენტით, ნატანების — 122, შრომის — 115,7, მახარაძის — 117,9, მაღალი-ეწერის — 113, ნასაკირალის — 138,5, მამათის — 137,1, ჩოხატაურის — 120,4, დიდი-ჭყონის პირველმა ფაბრიკამ — 116,1, ზუგდიდის პირველმა ფაბრიკამ — 106,7, ზუგდიდის მეორე ფაბრიკამ — 101,1, ბათუმის— 119,6, ხუცუბნის — 108,6, ლაითურის — 104,7, აცანის — 123,5, სუფსის — 114,6, ლანჩხუთის — 139,2, დიდი-ჭყონის მეორე ფაბრიკამ — 101,4, ორპირის — 126 პროცენტით. „საქართველოს ჩაის“ ტრესტის სამტრედიის მექანიკურმა ქარხანამ — 107,1, მახარაძის მექანიკურმა სახელოსნომ — 114,7 პროცენტით.

სამტრესტის გომის სპირტსახდელმა ქარხანამ ამავე რიცხვისათვის წლიური გეგმა შეასრულა 104,8 პროცენტით, ხე-ტყის სახერხმა ქარხანამ — 133,1 პროცენტით.

საქართველოს მინერალური წყლების ტრესტის ბორჯომის შუშის ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა 131,6 პროცენტით, მინერალური წყლის „ლუგელას“ ჩამოსხმის წარმოებამ — 114,8 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

## პოლიტწრეები და პოლიტსკოლები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ

ახალ სასწავლო წელს ზესტაფონის რაიონში შეიქმნა 64 პოლიტსკოლა 802 მსმენელით, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი 47 წრე, რომლებშიც 816 ამხანაგი გაერთიანდა, ორი ორწლიანი პარტიული სკოლა, მუშაობას განაგრძობს პარტიულ-სამეურნეო აქტივის ორი მუდმივი სემინარი, 700-ზე მეტი კომუნისტი კი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს. პროპაგანდისტებად მუშაობენ ყველაზე მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები რაიონული პარტიული აქტივიდან.

პირველ ოქტომბერს ქალაქად არსებულ პოლიტგანათლების მთელ ქსელში დაიწყო მეცადინეობა, ხოლო 15 ოქტომბრიდან მუშაობას შეუდგებიან სოფლად მოწყობილ წრეებსა და პოლიტსკოლებში. მეცადინეობის პირველი დღის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების დიდი უმეტესობა ჩომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს. წრეებსა და სკოლებში ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა. ასეთთა რიცხვს ეკუთვნიან: ფეროშენადნობთა ქარხანაში შექმნილი პოლიტსკოლები, რომელთა პროპაგანდისტებად მუშაობენ გრ. ხუციშვილი, ბ. რუხაძე და დ. ასათიანი. კარგად დაიწყეს მუშაობა აგრეთვე სამრეწველო კომბინატის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის, საელმავლო დეპოს, არტელ „ზრდის" და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულმა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელმა წრეებმა. წრეები და პოლიტსკოლები უზრუნველყოფილი არიან სამეცადინო ბინებით, განათებით, ლიტერატურით, რუკებით და სხვა სასწავლო ნივთებით.

არა ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულმა პოლიტსკოლამ. პირველ ოქტომბერს მეცადინეობაზე 13 კომუნისტიდან მხოლოდ 5 ამხანაგი გამოცხადდა, ასევე მოხდა ზესტაფონის საავადმყოფო-პოლიკლინიკის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ „მოკლე კურსის" შემსწავლელ წრეშიც, სადაც პირველი მეცადინეობა 4 კაცმა გააცდინა, ხოლო საქპურტრესტის ზესტაფონის პურის ქარხნის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში პირველი მეცადინეობა მთლიანად ჩაიშალა.

აუცილებელია თავიდან ავიცილოთ მსგავსი ნაკლოვანებანი, უზრუნველვყოთ პარტიული განათლების ქსელის სანიმუშო მუშაობა.

**ს. მუმლაძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## პარტიული განათლება ყოველდღიური ყურადღების ცენტრში

კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მათი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის სერიოზულ მუშაობას ეწევა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი. პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას აქ ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა.

რაიონში ახალ სასწავლო წელს მუშაობას შეუდგა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი 41 წრე. აქედან 25 წრე ქართულ ენაზე, 15 წრე რუსულ და 1 სომხურ ენაზე. მათში 886 კომუნისტია გაერთიანებული. შექმნილია 32 პოლიტსკოლა. მუშაობა დაიწყო აგრეთვე ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელმა 9 წრემ. მათში 165 კომუნისტი სწავლობს ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მიუხედავად იმისა, რომ წრეების სწორად დაკომპლექტებისათვის დიდი მუშაობა იყო გაწეული, ნაკლოვანებებს მაინც ჰქონდა ადგილი. იყო შემთხვევა, როცა წრეებში გააერთიანეს უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტები, ხოლო პოლიტსკოლაში — საშუალო განათლების მქონე ამხანაგები (ძაფსართავი ფაბრიკა). ეს ნაკლოვანებანი სწავლების პირველ დღეს გამომჟღავნდა და მათ აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები.

სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო ბამბის ფაბრიკაში (პროპაგანდისტი ე. გერდიანი), ტყავის ქარხანაში (პროპაგანდისტი გ. სამსონიძე), თბილვაჭრობაში (პროპაგანდისტი დ. მელაძე), პურვაჭრობაში (პროპაგანდისტი დ. თხელიძე), ქალთა მე-3 საშუალო სკოლაში (პროპაგანდისტი გ. მახარაძე), მეორე სამკერვალო ფაბრიკაში (პროპაგანდისტები მ. რაქვიაშვილი, გ. კობრავა და ა. მდინარაძე). აღნიშნულ პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტწრეებისა და პოლიტსკოლების მეორე მეცადინეობაც მაღალი დისციპლინითა და ორგანიზებულობით ხასიათდებოდა.

მაგრამ სასწავლო წლის პირველ დღეს ზოგიერთი პარტორგანიზაციის მდივნებმა ვერ უზრუნველჰყვეს მეცადინეობაზე დასწრება ნაკრებ წრეებში. მაგალითად, № 2 მოდათა ატელიეში (პარტორგანიზაციის მდივანი ა. ტატიშვილი) მომუშავე კომუნისტები უახლოესი ორგანიზაციის ნაკრებ წრეში (ინვალიდთა საწარმოო კომბინატში) მეცადინეობაზე არ გამოცხადდნენ, ასევე არ დაესწრნენ მეცადინეობას მე-14 სახელოსნო სასწავლებლის (პარტორგანიზაციის მდივანი ს. სააკიანი) კომუნისტები უახლოეს პარტორგანიზაციაში (ბალნეოლოგიური კურორტი).

მუშაობას შეუდგა პარტიის რაიკომთან შექმნილი ორწლიანი პარტიული სკოლა, მასში გაერთიანებულია პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივი 25 კაცის რაოდენობით.

რაიონში 600 კომუნისტი დამოუკიდებლად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს. პარტიის რაიკომი, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სათანადო ყურადღებას აქცევენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარებას. მათთვის გათვალისწინებულია ლექციების, მოხსენებების, საუბრებისა და კონსულტაციების მოწყობა.

**ე. მამალაძე**

## მეცადინეობის დასაწყებად ემზადებიან

15 ოქტომბრიდან დაიწყება სოფლად პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობა. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ახმეტის რაიონში. პარტიის რაიკომის ბიურომ კარგახანია დაამტკიცა წრეებისა და პოლიტსკოლების პროპაგანდისტები და სემინარების ხელმძღვანელები.

რაიონში დაბალი განათლების მქონე კომუნისტებისათვის შეიქმნა 10 პოლიტსკოლა, იმუშავებს პარტიის ისტორიის შემსწავლელი 9 წრე. ამას გარდა რაიონში შექმნილია ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 9 წრე.

პარტკაბინეტთან მუშაობენ სემინარები. მათ ხელმძღვანელობენ რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მირიანაშვილი და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ს. სალაძე. სემინარების მეცადინეობა ეწყობა კვირაში ორჯერ.

27 პროპაგანდისტიდან 26 უმაღლესი განათლების მქონეა. მათი უშუალო ხელმძღვანელობით დაკომპლექტებულია პოლიტსკოლები და წრეები. ისინი ზრუნავენ წრეებისა და პოლიტსკოლების სახელმძღვანელოებით მომარაგებისათვის. უკვე შეძენილია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" 200 წიგნი, მიღებულია ზომები რუკების, დიაგრამების და სხვათა შესაძენად. ახლა მიმდინარეობს სამეცადინო ბინების გამოყოფა-მოწყობა, განათებით და გათბობით უზრუნველყოფა.

მეცადინეობის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა ზომები უნდა მიიღონ პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

**ნ. ჯანჯღავა**

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

## ყურძნის უხვი მოსავალი

**გურჯაანი.** (ტელეგრაფით). რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად მიმდინარეობს ყურძნის მოსავლის აღება. სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" ზვრებში ყოველდღიურად 200 კაცი მუშაობს. მეექვსე ბრიგადის პირველი რგოლის წევრმა გიგო ყაზაროვმა მიჩენილ 0,61 ჰექტარ ვენახიდან 7.161 კილოგრამი ყურძენი მიიღო, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 117 ცენტნერს შეადგენს. ამავე რგოლში კოლმეურნე აკ. ზეილახოვმა 0,66 ჰექტარზე 8.183 კილოგრამი ყურძენი მოიწია, ეს ჰექტარზე 124 ცენტნერს შეადგენს, მეოთხე ბრიგადის პირველი რგოლის წევრმა ქ. აკოფოვმა 0,48 ჰექტარ ვენახიდან 5.039 კილოგრამი ყურძენი მიიღო, — ჰექტარზე გადაანგარიშებით 104 ცენტნერი. ამავე რგოლის წევრმა მ. სოლომონიშვილმა 0,47 ჰექტარზე 4.751 კილოგრამი ყურძენი მოიწია.

## ცხვარი დაიძრა საზამთრო საძოვრებისაკენ

**დუშეთი.** (ტელეფონით, საკ. კორ). მთელი რიგი კოლმეურნეობა კარგად ემზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის. მაგალითად, სოფელ ჩოხის კოლმეურნეობა „შრომის დროშამ", რომელსაც 24.000 სული ცხვარი და 300 სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს, დაამზადეს 2.700 ტონა თივა, ააშენეს 7 ახალი სადგომი. პირუტყვის გამოზამთრებისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე სოფელ მაქართის, ხადის, დოლასქედის კოლმეურნეობები.

რაიონის 200.000 სული ცხვარი დაიძრა საზამთრო საძოვრებისაკენ. ცხვრის გარეკა ორგანიზებულად სწარმოებს.

## სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად

**ფოთი.** (საკ. კორ.). კომკავშირის 30 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქში გაცხოველებით ემზადებიან. შექმნილია დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია. ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში ჩატარდება კომკავშირული ღია კრებები და მოხსენებები: „საკავშირო ალკკ 30 წელი".

საქალაქო პარტიულ კაბინეტში და კლუბ-სამკითხველოებში მოეწყობა გამოფენები, ჩატარდება ლექცია-კონსულტაციები, განზრახულია ჩატარდეს პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი, სასპორტო საღამოები და სხვ.

## ესტონელ ფიზკულტურელთა დელეგაცია გორში

**გორი.** (საკ. კორ.) შვიდ ოქტომბერს გორს ესტუმრა ესტონელ ფიზკულტურელთა დელეგაცია. მათ დაათვალიერეს ბელადის სახლი, ქალაქის ისტორიული ადგილები, ინახულეს ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღები და სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის ფიზკულტურული მოედანი.




გაზეთი „ლენინსკოე ზნამია" სხვადასხვა დროს

## ჯარისკაცთა გაზეთის სახელოვანი საბრძოლო გზა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას"—საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ უძველეს გაზეთს თავისი არსებობის 30 წელი შეუსრულდა. იგი 1918 წლის 8 სექტემბერს გამოვიდა ქ. ასტრახანში, „კრასნი ვოინის" სახელწოდებით. მაშინ გაზეთი XI არმიის პოლიტგანყოფილების ორგანო იყო. ასტრახანის დაცვის ისტორიულ დღეებში ზობილ გაზეთს მგზნებარე ბოლშევიკური სიტყვა მიჰქონდა წითელარმიელთა მასებში, საბჭოთა მეომრებს აღაფრთოვანებდა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, გამარჯვების მოსაპოვებლად.

„კრასნი ვოინის" სულისჩამდგმელი იყო სერგეი მირონის-ძე კიროვი. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ზრუნვით გაზეთი XI არმიის მებრძოლი ორგანო გახდა.

XI არმია, რომელსაც სათავეში ედგნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი, წარმატებით შეტევას განაგრძობდა, ეხმარებოდა ამიერკავკასიის ხალხებს თავიდან მოეშორებინათ მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების ბატონობის მძიმე უღელი და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. 1920 წლის აპრილში ბაქოს პროლეტარების მოწოდებით, რომლებმაც ხელში აიღეს ძალაუფლება, XI არმიის ნაწილები ბაქოში შევიდნენ. „კრასნი ვოინი" ერთ-ერთი პირველი საბჭოთა გაზეთი იყო აზერბაიჯანის განთავისუფლებულ დედაქალაქში.

1921 წლის მარტიდან, ქართველი მუშების და გლეხების მიერ XI არმიის დახმარებით მენშევიკური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების შემდეგ, „კრასნი ვოინი" თბილისში იწყებს გამოსვლას.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში გაზეთი „კრასნი ვოინი" გახდა სარდლობისა და პოლიტორგანოების უცვლელი თანაშემწე საბჭოთა მეომრების ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. 1921 წლის დასაწყისში გაზეთის რედაქტორი იყო სამოქალაქო ომის სახელგანთქმული კომისარი დიმიტრი ფურმანოვი. ამ პერიოდში გაზეთი ხდება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ორგანოდ. იგი დიდ მუშაობას ეწევა საბჭოთა მეომრების მხედრული, პოლიტიკური, კულტურული და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდისათვის, ხელს უწყობს ნაციონალური სამხედრო კადრების აღზრდას.

1938 წლის დასაწყისში „კრასნი ვოინი" გამოდის „ბოეც რკკა"-ს სახელწოდებით. იგი განაგრძობს და თავის მუშაობაში მტკიცედ ამკვიდრებს „კრასნი ვოინის" სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს, დიდ დახმარებას უწევს ოლქის სარდლობას საბჭოთა სამშობლოს მამაც დამცველთა აღზრდაში, განუწყვეტლივ ეწევა ლენინ-სტალინის დიადი იდეების პროპაგანდას.

დიდი სამამულო ომის წლებში „ბოეც რკკა" ღირსეულად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, განუმარტავს საბჭოთა მეომრებს დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს და აღაფრთოვანებს მათ საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, გერმანელ დამპყრობთა გასანადგურებლად. სამამულო ომის პერიოდში გაზეთის დამსახურება ღირსეულად აღინიშნა, იგი დაჯილდოებულ იქნა „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის 5 ნოემბერს გაზეთი „ბოეც რკკა" გამოვიდა „ლენინსკოე ზნამიას" სახელწოდებით. ოლქის ჯარისკაცების, სერჟანტებისა და ოფიცრების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საკითხების გაშუქებასთან ერთად გაზეთმა დიდი ყურადღება მიაქცია. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობის ჩვენებას.

ამჟამად „ლენინსკოე ზნამია" წარმატებით ასრულებს თავის საპასუხისმგებლო პარტიულ და მეომრულ მოვალეობას, რაზმავს და აღაფრთოვანებს ოლქის ჯარისკაცებს, სერჟანტებსა და ოფიცრებს საბრძოლო ოსტატობის შემდგომი სრულყოფისათვის, საბჭოთა სამშობლოს საბრძოლო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანის — ხალხთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფხიზლად დაცვის ამოცანის სანიმუშოდ შესრულებისათვის.

**მაიორი პ. შამათავა**

## მევენახეთა საბრძოლო ამოცანები

„ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების განხორციელების საფუძველზე მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი სოფლის მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიც მევენახეობაა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1948 წლის 15 აპრილს თავის მოხსენებაში ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა სთქვა: „საბჭოთა ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს მევენახეობას. საქართველო ამზადებს მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოებსა და კონიაკებს, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან მეღვინეობის პროდუქციის საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს. სუფრის ღვინოსთან ერთად მტკიცე ადგილი დაიკავა აგრეთვე ქართულმა შამპანურმა, რომლის ხარისხიც წლითიწლობით უმჯობესდება".

საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მუშაკებს ყოველთვის ახსოვთ ის პასუხისმგებლობა, რაც მათ აკისრიათ მეღვინეობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ბერიას სახელობის ხირსის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში იკისრა 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 120 ცენტნერი ყურძენი, ხოლო დანარჩენი ფართობიდან—არანაკლებ გეგმიანი მოსავლისა. 5 ოქტომბრისათვის ხირსის საბჭოთა მეურნეობაში საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე უდრიდა 69 ცენტნერს, ნაცვლად 1947 წლის ფაქტიური 51,2 ცენტნერისა, ანუ ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარზე გადიდებულია 17,8 ცენტნერით.

საბჭოთა მეურნეობებში წელს ვაზის საგაზაფხულო სამუშაოები კარგად ჩატარდა, გაუმჯობესდა ვენახების მოვლა და დამუშავება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულებამ ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ მევენახეები აღაფრთოვანა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. მრავლდება მოწინავეთა რიგები. ასეთებია: ხირსის საბჭოთა მეურნეობიდან — გიორგი ჭუჭულაშვილი, ტასი ბურდულაშვილი და ალექსანდრა აგრასკოვა, წინანდლის საბჭოთა მეურნეობიდან—მიხა შაქარაშვილი, გიორგი მესხიშვილი და საბა დავითაშვილი, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობიდან—ვასილ გეთიაშვილი, იასონ ძულიაშვილი, გ. ვარაზაშვილი.

ყურძნის ორგანიზებულად დამზადებისა და გადამუშავებისათვის ჩატარებულია მთელი რიგი ღონისძიებანი. საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს მიერ რთველისათვის გამოყოფილია 47 ავტომანქანა და, გარდა ამისა, მობილიზებულია 20 სატვირთო ავტომანქანა. საკუთარი ტრანსპორტის ჩათვლით, ყურძნის მოსავლის აღება-დამზადებაზე მუშაობს სულ 100-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა. ამ მანქანების სრული დატვირთვით გამოყენება უზრუნველჰყოფს ყურძნის მოსავლის გადაზიდვას.

საჭიროა აქედანვე მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა ყურძნის მოსავლის აღება-გადამუშავება სწარმოებდეს ცალკეული ჯიშების მიხედვით და დაზიანებული მტევნების გამორჩევით, სათანადო ყურადღება მიექცეს თვით ყურძნის კონდიციის დაცვას, უზრუნველვყოთ ყურძნის დროულად და უდანაკარგოდ გადამუშავება სამარკო ღვინოების, კონიაკებისა და შამპანურისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი ღვინო-მასალების მისაღებად.

ღვინის ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ყურძნის სწრაფად გადამუშავებაზე. ამიტომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვალდებული არიან ყურძენი მოკრეფისთანავე დაუყოვნებლივ მიზიდონ გადამმუშავებელ პუნქტებში.

ჩვენი ტრესტის მიმღები პუნქტები ყურძენს იღებენ დღე-ღამის განმავლობაში. მიმღებ პუნქტების მუშაკთა ამოცანას წარმოადგენს ყურძნის ჩამბარებლებს განუმარტონ ყურძნის ჩაბარების ინსტრუქცია და ძირითად ფასებზე პრემია-დანამატის გაცემის წესები კონდიციის გადამეტებით ჩაბარებულ ყურძენზე.

საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა წელს უნდა გადაამუშაონ სულ მცირე 1.750.000 დეკალიტრი ღვინო-მასალა, ნაცვლად 1947 წელს გადამუშავებული 1.477.900 დეკალიტრისა. გარდა ცნობილ სამარკო ღვინოებისა, გადამუშავებულ იქნება ახალი მარკის ღვინო-მასალები: ენისელი, ნასომხარი, იყალთოს მწვანე (ევროპული), კაჭიჭი, იზაბელა ტკბილი, რაჭული საფერავი, ალადასტური და სხვა. გადიდდება ყურძნის წვენის გამოშვება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება „კონიაკის წარმოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" ღვინის მრეწველობის მუშაკებს ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კონიაკის სპირტის გამოსახდელად განკუთვნილ ღვინო-მასალების გადამუშავებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ცნობილი ქართული კონიაკების — ენისელის, საიუბილეოს, „ის" და „კს" მარკის კონიაკების გამოშვება.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ახალ მშენებლობათა ხაზით. უკანასკნელ დროს ამუშავდა მაიაკოვსკის კონიაკის სპირტის სახდელი ქარხანა, თავდება ყვარლის ქარხნის მონტაჟი, გაძლიერებული ტემპით სწარმოებს ავჭალის კონიაკის ქარხნის მშენებლობა. უმოკლეს დროში მოეწყობა საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის კონიაკის კომბინატი, რომელიც გააერთიანებს, გარდა ამჟამად არსებული კონიაკის საწარმოებისა, სხვა რაიონებსაც (ცაგერი, ჩოხატაური, გუდაუთი, ზუგდიდი და ოჩამჩირე), სადაც მოიპოვება საკონიაკე ღვინო-მასალების ნედლეული ბაზა.

საბჭოთა მეურნეობებში ახლა რთველია გაჩაღებული. ბევრმა მათგანმა უკვე შეასრულა მიმდინარე წლის ყურძნის მოსავლის აღების გეგმა და გეგმის გადამეტებით ჰკრეფს ყურძენს. ასეთებია: წინანდლის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ჩარკვიანი), კარდანახის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. კუპატაძე), გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ყურაშვილი), გურჯაანის ღვინის ქარხანა (დირექტორი ამხ. შავლიაშვილი), მუკუზნის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. დვალი), ყვარლის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ჭერაშვილი), ხირსის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. შარაშიძე), მანავის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. გელაშვილი), ბოლნისის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. კახიძე), ვარციხის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ნიკოლაიშვილი).

საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში ყურძნის დამზადების გეგმა საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა მოქმედების ზონაში წელს 30 პროცენტით აღემატება შარშან ფაქტიურად დამზადებულ ყურძენს.

ამჟამად ყურძნის დამზადება გაცხოველებით მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში. 5 ოქტომბრის ჩათვლით, ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებულია 64.3 პროცენტით. დამზადების გეგმა შეასრულეს წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლისა და ზესტაფონის რაიონებმა. ყურძნის დამზადება გრძელდება. წარმატებით მიმდინარეობს რთველი დასავლეთ საქართველოშიც.

ყურძნის დამზადების წახალისებისა და მეკონტრაქტეთა პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გამოყოფილია 10.000 ტონა ხორბალი ყურძნის წესიერი ჩამბარებლებისათვის მოქმედ ფასებში მისასყიდად. ეს პირობები საუკეთესოდ უნდა გამოიყენონ ყურძნის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა და უზრუნველჰყონ ყურძნის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

5 ოქტომბრის ჩათვლით ტრესტის ხაზით ყურძნის მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 111,8 პროცენტით. როგორც ცნობილია, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოჰკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 16.000 ცენტნერი ყურძენი. ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილია 5.415 ცენტნერი.

საბჭოთა მეურნეობებისა და ღვინის ქარხნების მუშაკები მთელი ძალებით იბრძოლებენ, რათა წარმატებით შეასრულონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, უდანაკარგოდ აიღონ და გადაამუშაონ ყურძნის მოსავალი, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სუფრა დაამშვენონ საუკეთესო ხარისხის ღვინით.

**პ. სოხაძე**

საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი

## წულუკიძის სახლ-მუზეუმი 146.525 კაცმა ინახულა

**ქუთაისი.** (საკ. კორ). მას შემდეგ, რაც 1939 წელს გაიხსნა ა. წულუკიძის სახლი-მუზეუმი, პირობები შეიქმნა ქუთაისის რევოლუციური წარსულისა და ისტორიული ადგილების საფუძვლიანად შესწავლისათვის.

მუზეუმის მასალები და დოკუმენტები შეეხება არა მარტო იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის მუშაობასა და ქუთაისში არსებულ ისტორიულ ადგილებს, არამედ ნაწილობრივ ასახავს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიასაც.

თავისი არსებობის მანძილზე მუზეუმში მოეწყო 2.813 ექსკურსია, რომლებშიც მონაწილეობდა 146.525 კაცი.

მიმდინარე წლის სექტემბერში მუზეუმი ინახულეს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ი. ზაბოლოტნიმ, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კ. კ. ბედემ, ა. მ. გორკის მეგობარმა და მეუღლემ ეკატერინე პეშკოვამ და სხვ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 8 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი-ქირურგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალურ-ქირურგიული კლინიკის გამგე, სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი, ჰემატოლოგიის და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტების დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი

**გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძე**

• • •

აკადემიკოს გ. მ. მუხაძის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის გამოყოფილია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. ა. მინდაძე (თავმჯდომარე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი რ. ი. აგლაძე, სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი კ. დ. ერისთავი, სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. პ. წულუკიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ნ. ნათიშვილი, პროფესორი მ. კ. ჩაჩავა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. გ. მეძარნიშვილი.

• • •

პანაშვიდი შესდგება ყოველდღე საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე — საჯაიას ქ. № 24.

გამოსვენება ბინიდან 12 ოქტომბერს, დღის 4 საათზე, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

## უშიშროების საბჭოს სხდომაზე 1948 წლის 5 ოქტომბერს

ამერიკის წარმომადგენელმა თავის გუშინდელ გამოსვლაში გაიმეორა უაზრო ბრალდებანი ბერლინის ბლოკადის შესახებ, ბერლინში საბჭოთა ხელისუფლების ძალადური მოქმედების შესახებ და სხვ. გუშინ უკვე აღვნიშნეთ მთელი რიგი ფაქტები, ხოლო ცნობილია, რომ ფაქტები ყოველგვარ სიტყვებზე მჭევრმეტყველია, — ეს ფაქტები ამტკიცებენ, რომ ბერლინში საბჭოთა ხელისუფლების მხრივ არ არის არავითარი ბლოკადა, არ არის შიმშილის არავითარი საფრთხე და არავითარი იმის მსგავსი რამ, რის დახატვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობდა გუშინ აქ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი. სხვათა შორის, მან განაცხადა, თითქოს საბჭოთა მხარე თვით აღიარებს, რომ ბერლინის ბლოკადა გამოყენებული იყო „სამაგიეროს გადასახდელად“, როგორც ბ-ნმა ჯესეპმა სთქვა, იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა გერმანიის დასავლეთ ზონებში მიიღეს. ეს, რასაკვირველია, აშკარა მონაჭორია. მთელი ეს უსაფუძვლო და ლიტონი განცხადებანი და ხშირად, როგორც დავინახავთ, ისეთები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს აწერენ, თუმცა მათ ამ განცხადებათა მსგავსი რამ არ გაუკეთებიათ და არ უთქვამთ, სხვა არა არის რა, თუ არა პროპაგანდის ყალბი ხერხი, რაც ისახავს ისეთ მიზნებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ნამდვილ მისწრაფებასთან ჯერ კიდევ გადაუჭრელი მთელი რიგი საკითხების მოწესრიგებისადმი. ამიტომ ყველა უწინასწარმეტყველო(?) ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გუშინდელი გამოსვლის სპეციფიკური ხასიათი.

ამგვარ დაუსაბუთებელ და უაზრო განცხადებას საბჭოთა მთავრობამ უკვე გასცა დამაჯერებელი პასუხი თავის 3 ოქტომბრის ნოტაში. ამიტომ მე სრულიადაც არ მიმაჩნია საჭიროდ მეტ ხანს შევჩერდე ამ საკითხზე და გავიმეორო ის ფაქტები, რომლებიც უკვე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. ბ-ნ ჯესეპის გუშინდელი გამოსვლის ყველაზე არსებითი ნაწილი იყო ცდა — დაემტკიცებინა უშიშროების საბჭოს განსახილველად ბერლინის საკითხის შეტანის სისწორე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლის დამოწმებით. ვინაიდან უშიშროების საბჭოში ბერლინის საკითხის შეტანის ინიციატორებს საკმაო არგუმენტები არ გააჩნიათ, რაც გუშინ სრულიად აშკარად ცხადჰყვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა, ისინი შეეცადნენ ჩამოეშორებინეთ უშიშროების საბჭოში ბერლინის პრობლემის შეტანისა თუ შეუტანლობის საკითხის განხილვისათვის და საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროპაგანდის გზას დაადგნენ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ისეთი სრულიად დაუსაბუთებელი განცხადება, რომელიც ამერიკის წარმომადგენელმა გააკეთა, თითქოს საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს მშვიდობიანი მოწესრიგების მექანიზმზე, რაც გაერთიანებულმა ერებმა დააწესეს, და თითქოს იგი, საბჭოთა მთავრობა, უარჰყოფს, რომ გაერთიანებული ერები არის ორგანო, რომელსაც ხალხებმა დახმარებისათვის უნდა მიმართონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვაში.

ეს განცხადება არ შეიძლება მიღებულ იქნას სერიოზულად, იმიტომ, რომ არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას ისეთი ფაქტები, როგორიცაა, რომ საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა ბერლინის საკითხი განსახილველად გადაეცეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, რომელიც, როგორც ცნობილია, შექმნილი იყო სწორედ, როგორც ინსტრუმენტი სამშვიდობო მოწესრიგებისათვის საერთოდ ყოფილ მტრულ ქვეყნებთან და, მათ შორის, გერმანიასთან. მე ერთხელ კიდევ უნდა გაგახსენოთ, ამ მხრივ ჩემი ოპონენტების უცნაური გულმავიწყობის გამო, რომ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებანი, რომლებიც დადებული იყო ლონდონში. მხედველობაში მაქვს ევროპის საკონსულტაციო კომისიის შეთანხმებული გადაწყვეტილებანი 1945 წელს; შეთანხმებანი, მიღებულნი იალტასა და პოტსდამში, ის იურიდიული გადაწყვეტილებანი, რომლებმაც განსაზღვრეს ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური პრინციპები, დიდ სახელმწიფოთა მიერ დადგენილნი გერმანიის მიმართ მთელი იმ პერიოდისათვის, რომელიც მოსდევს მის უსიტყვო კაპიტულაციას, აგრეთვე მთელი რიგი შეთანხმებანი, რომლებიც ბერლინში დადებულია ოთხ სახელმწიფოს შორის გერმანიის ზონების ოკუპაციის შესახებ. ყველა ეს საერთაშორისო შეთანხმება სრულიად უდავოდ ადასტურებს, რომ გერმანიასთან ომამდელი სამშვიდობო მოწესრიგების საკითხები, დიდ სახელმწიფოთა საერთაშორისო შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა თანახმად, ეკუთვნიან საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომპეტენციას. ზემონათქვამს მხოლოდ იმას დავძენ, რომ თვით საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო მშვიდობის ინსტრუმენტია. მისი კომპეტენციის გამიჯვნა უშიშროების საბჭოს კომპეტენციისაგან სრულიადაც არ გადის იმ ხაზზე, რომელზეც ამ გამიჯვნას სახავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელნი. ისინი შეცდომით ამტკიცებენ, თითქოს ერთ-ერთი ეს ორგანო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინსტრუმენტია, ხოლო მეორე მშვიდობისა და უშიშროების ინსტრუმენტი არ არის. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსა და უშიშროების საბჭოს კომპეტენციის გამიჯვნა არ მიდის ამ ხაზით. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე ასეთი წარმოდგენა მინისტრების საბჭოს, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის გარკვეული ინსტრუმენტის, არსის, თვით ბუნების უხეში დამახინჯება იქნებოდა. გამიჯვნა სრულიად სხვა ხაზით უნდა მიდიოდეს.

და აი ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლით.

უნდა ვთქვა აგრეთვე, რომ არა მარტო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, არამედ გერმანიისათვის შექმნილი ოთხმხრივი საკონტროლო მექანიზმი აგრეთვე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინსტრუმენტს წარმოადგენს. გერმანიის დამარცხებისა და ოთხი მაოკუპირებელი სახელმწიფოს მიერ გერმანიის მართვისათვის ნაკისრი პასუხისმგებლობის შესახებ დეკლარაციაში, რაც ხელმოწერილია 1945 წლის მაისში, პირდაპირ არის აღნიშნული, რომ გერმანიის მიმართ უმაღლესი ხელისუფლების განხორციელებისას, რაც სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობებმა იკისრეს, ოთხი მოკავშირე მთავრობა მიიღებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევენ მომავალი მშვიდობისა და უშიშროებისათვის, მათ შორის გერმანიის სრული განიარაღება და დემილიტარიზაცია, რომლებიც, უნდა ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ მომავალში გერმანიის აგრესიის შესაძლებლობის თავიდან აცილება.

განა ეს საკმაო არ არის იმისათვის, რომ უფლება გვქონდეს ვამტკიცოთ, როგორც ამას საბჭოთა დელეგაცია სჩადის, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო არის აგრეთვე მშვიდობისა და უშიშროების ინსტრუმენტი, და ამ მხრივ მისი დაპირისპირება უშიშროების საბჭოსადმი არაფრით არ იქნებოდა დასაბუთებული, ეს იქნებოდა ნამდვილი მდგომარეობის და იმ უფლებრივი საფუძვლების უხეში დამახინჯება, რომლებიც განსაზღვრავენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ბუნებას, როგორც ეს ჩაწერილია დიდ სახელმწიფოთა საერთაშორისო შეთანხმებებში, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებებში და სხვა გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხებიან გერმანიას და მიღებულია ოთხმხრივ საფუძველზე.

და აი ამის შემდეგ აქ ბედავენ გვითხრან, თითქოს საბჭოთა კავშირი უარს ამბობს სამშვიდობო მოწესრიგების მექანიზმზე. ზემოთქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საქმე ეხება გერმანიას, მომავალი მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად ოთხმა დიდმა სახელმწიფომ შექმნა სპეციალური ოთხმხრივი ორგანოები (საკონტროლო საბჭო და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლის აზრი სწორედ ის არის, რომ გერმანიასთან ომისშემდგომი სამშვიდობო მოწესრიგების საკითხები და გერმანიის მართვის საკითხები შედიან ზემოაღნიშნული ოთხმხრივი ორგანოების — საკონტროლო საბჭოსა და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომპეტენციაში.

ვინც ეს ორგანოები დაანგრია, ვინც ძირი გამოუთხარა ამ ორგანოების ნორმალური მოღვაწეობის ნიადაგს და ვინც, შესაძლებელია, ახლა აპირებს საბოლოოდ მოსპოს ისინი, სწორედ იმათ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ, ანგარიშს არ უწევენ რა მათ მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, უარს ამბობენ ეს ორგანოები გამოიყენონ როგორც მშვიდობისა და უშიშროების ინსტრუმენტი გერმანიისათვის.

და ეს მით უფრო სწორია, რომ უშიშროების საბჭოს ცოტა როდი აქვს ისეთი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის სხვა ნაწილებში მშვიდობისა და უშიშროების დაცვასთან, ამოცანები, რომლებისთვისაც, სამწუხაროდ, დღემდე თავი ვერ გაურთმევია, თუმცა დედამიწის იმ ნაწილებში მართლაც არსებობს საფრთხე მშვიდობისა და უშიშროებისათვის. მხედველობაში მაქვს ინდონეზიის საკითხი, პალესტინის საკითხი, საბერძნეთის საკითხი. განა თქვენ, უშიშროების საბჭოს ბატონო წევრებო, ცოტა საზრუნავი გაქვთ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, რომ თქვენი ეს პირდაპირი მოვალეობა უგულებელჰყოთ და იკისროთ ზრუნვა იმ საკითხებისათვის, რომელთა გადასაჭრელად შექმნილია სპეციალური ორგანო, დამყარებულია სპეციალური წესი საერთაშორისო შეთანხმებათა შესაბამისად!

რაც შეეხება ბ-ნ კადოგანს, რომელიც გუშინ გამოვიდა და 107-ე მუხლზე ლაპარაკობდა, მან განაცხადა, რომ ამ მუხლში არის რაღაც ორაზროვნობა და რომ მისი გამოყენება პირველი შეხედვით ნათელი არ არის. უნდა ვაღიაროთ, რომ, თუმცა ბ-ნმა კადოგანმა ამ მუხლს მეორედ და მესამედაც შეხედა, მაგრამ მას სინათლე არ მომატებია. მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი განცხადებას საერთოდ არ შეიძლება დავეთანხმოთ იმიტომ, რომ 107-ე მუხლი აბსოლუტურად ნათელია, იგი არ საჭიროებს არავითარ სპეციალურ გამოკვლევას თავისი წარმოშობის იმ წყაროებისას, რომლებიც ეკუთვნიან დუმბარტონ-ოქსის ან სან-ფრანცისკოს კონფერენციების ხანას, რაზედაც აქ გუშინ ლაპარაკობდნენ.

მაგრამ, რამდენადაც ამ საკითხს აქ შეეხნენ, ჩემი მხრივ უნდა მოვიყვანო მცირე ცნობა სან-ფრანცისკოს კონფერენციის შესახებ, რომელმაც შეიძლება დახმარება გაგვიწიოს და ამ საკითხს სინათლის კიდევ ერთი სხივი მოჰფინოს. მე ამას ჩავდივარ იმათთვის, ვისთვისაც, შეიძლება მართლაც, ყველაფერი ნათელი არ იყოს ამ საკითხში. მე დავიმოწმებ იმ განცხადებას, რაც სან-ფრანცისკოში მე-3 კომიტეტში გააკეთა კანადის დელეგატმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-12 კარის მე-2 მუხლი, როგორც იგი ჩაწერილი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პროექტში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, რომელსაც მაშინ ეწოდებოდა „უშიშროების საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაცია“, იმდენად ფართოდ არის ჩამოყალიბებული (სიტყვასიტყვით მომყავს კანადის წარმომადგენლის განცხადება), რომ შესაძლებლობას იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობიდან განუსაზღვრელი დროით გამორიცხულ იქნას ყოველგვარი მოქმედება, რაც დაკავშირებულია კაპიტულაციის პირობებსა და საზავო ხელშეკრულებასთან. მე გაგახსენებთ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის განცხადებას იმავე კომიტეტში, რომელმაც მე-12 კარის მე-2 მუხლის შესახებ სთქვა, რომ მომავალ ორგანიზაციას არ აკისრია პასუხისმგებლობა კაპიტულაციის პირობებისა და საზავო ხელშეკრულებათა მიმართ.

და ეს სრულიად გასაგებია, იმიტომ, რომ ეს პასუხისმგებლობა, უწინარეს ყოვლისა, აკისრია ხუთ დიდ სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, რომელიც სწორედ იმისთვის იყო შექმნილი, რომ განახორციელოს სამშვიდობო მოწესრიგება ყოფილ მტრულ ქვეყნებთან, რასთან დაკავშირებითაც უნდა გვესმოდეს 107-ე მუხლი.

შეიძლება გვითხრან, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, რომლის უსწრაფეს დადებასაც საბჭოთა კავშირი განუხრელად მოითხოვს, მაშინ როცა დასავლეთის სამ სახელმწიფოს სურს საზავო ხელშეკრულება საოკუპაციო სტატუტით შესცვალოს. მაგრამ თუ საზავო ხელშეკრულება ჯერჯერობით არ არსებობს, არსებობს კაპიტულაციის პირობები, არსებობს დეკლარაცია გერმანიის დამარცხების შესახებ, არსებობენ პრინციპული და მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი გერმანიასთან მომავალი საზავო ხელშეკრულების საფუძვლების შესახებ, არსებობენ იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მაოკუპირებელ სახელმწიფოთა მთელი პოლიტიკის მიმართულებას გერმანიის შესახებ. არ შეიძლება ამისი უარყოფა, არ შეიძლება ამას ანგარიში არ გაეწიოს. ეს არის არა მარტო იურიდიული აქტი, არამედ ეს არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი, ეს არის ფაქტი, რომელიც შეიცავს უაღრესად პასუხსაგებ ვალდებულებებს, რომლებიც ოთხმა სახელმწიფომ იკისრა გერმანიის მიმართ, ვალდებულებებს, რომლებსაც ვერსად ვერ გაექცევი. ბ-ნმა კადოგანმა ისე შორს შესტოპა 107-ე მუხლის განმარტების დროს, რომ ამ მუხლში აღნიშნული ფრაზა „ყოველი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ყოველი იმ სახელმწიფოს მტერი იყო, რომელმაც ხელი მოაწერა ამ წესდებას“, მან განიზრახა ისე განემარტა, რომ სიტყვა „მიმართ“ ნიშნავს აქტს, რომელშიც მტრული სახელმწიფო არის ობიექტი, და არა, როგორც მან სთქვა, უბრალოდ მოქმედების ადგილი. კადოგანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ რამდენადაც გერმანია არ წარმოადგენს იმ მოქმედების ობიექტს, რომელიც შეიძლება უშიშროების საბჭოს განხილვის საგანი გახდეს, არამედ მხოლოდ მოქმედების ადგილს, 107-ე მუხლი სრულ ძალაში რჩება და არავითარი დამოკიდებულება ამ შემთხვევასთან არა აქვს.

ეს აზრი დღეს აქ გამოსთქვა სირიის წარმომადგენელმა, რომელიც ლაპარაკობდა ეგრეთწოდებულ გერმანიის ბლოკადაზე, ამ მითზე, რომელიც, რასაკვირველია, გავრცელებულია სპეციალური მიზნებით. მან სთქვა: ბლოკადა მიმართულია არა გერმანიის წინააღმდეგ, არამედ სხვა მაოკუპირებელ ხელისუფალთა წინააღმდეგ, და ამიტომ 107-ე მუხლის აქ გამოყენება არ შეიძლებაო.

მე გამახსენდა ერთი შემთხვევა და, მგონია, რომ ეს მაგალითი სარგებლობას მოუტანს 107-ე მუხლის ჩვენს სწორ გაგებას. ამა წლის გაზაფხულზე ბრემენში მოხდა ამბავი, რომელიც, ალბათ, უშიშროების საბჭოსაც ახსოვს, როცა საბჭოთა პოლკოვნიკი ტასოევი ამერიკის ხელისუფლებმა მოიტაცეს და გადასცეს ინგლისის ხელისუფალთ, შემდეგ კი იგი აღმოჩენილ იქნა ინგლისის დაზვერვის შენობაში ლონდონს. ეს ამბავი მოხდა ბრემენში, ე. ი. გერმანიის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ ამბავს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს 107-ე მუხლთან, იმიტომ, რომ ეს არის მოქმედება, რომელიც ჩაიდინეს ამერიკის და ინგლისის ხელისუფლებმა საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ და გერმანია აქ არაფერ შუაშია, გერმანია, კადოგანის ენით რომ ვთქვათ, იყო მხოლოდ მოქმედების ადგილი. იგი იყო მხოლოდ ტერიტორია, რომელზეც ეს მოქმედება მოხდა, და ამიტომ სასაცილო იქნებოდა, ამ შემთხვევაში რომ 107-ე მუხლი დაგვემოწმებინა. ამრიგად, ამერიკისა და ინგლისის ხელისუფალთა მიერ საბჭოთა პოლკოვნიკის მოტაცების შემთხვევას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს 107-ე მუხლთან და ამ მუხლის დამოწმება, თუმცა იგი გერმანიის ტერიტორიაზე მოხდა, აბსოლუტურად მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ საფუძველს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს. როდესაც ლაპარაკია ფულის სეპარატული რეფორმის შესახებ გერმანიის ტერიტორიაზე, მაშინ განა შეიძლება იმის თქმა, რომ ეს გერმანიას არ ეხება? ნუთუ მართლაც საქმე ისეა, რომ სამი დასავლეთი სახელმწიფოს მთავრობის ყველა ეს სეპარატული, უკანონო ღონისძიებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს, რაც მიღებულია ოთხი სახელმწიფოს მიერ, სრულიად არ ეხებიან გერმანიას და რომ გერმანია ამ შემთხვევაში არის მხოლოდ „მოქმედების ადგილი“?

თუ გავიხსენებთ, რომ ლაპარაკია ისეთ მოქმედებაზე, რომელიც წარმოადგენს ამა წლის თებერვალ-მარტში სამი მთავრობის მიერ ლონდონში, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის გვერდის ახვევით, გერმანიის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციას, როცა ლაპარაკია გერმანიის დასავლეთ ნაწილში სამი სახელმწიფოს მიერ ფულის სეპარატული რეფორმის გატარებაზე, როცა ლაპარაკია ბერლინიდან, ყოველგვარი არსებული კანონების, იურიდიული და მორალური ხასიათის წესების საწინააღმდეგოდ, მოწყობილობის გატანაზე, როცა ლაპარაკია მთელ რიგ სეპარატულ მოქმედებაზე, რაც არღვევს გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, საბჭოთა ზონის მოსახლეობის ინტერესებს, როცა იგი ძირს უთხრის გერმანიის სახალხო მეურნეობას, მაშინ როგორ შეიძლება მივიდეთ იმ მტკიცებამდე, თითქოს ყველა ამ მოქმედებას დამოკიდებულება არა აქვს გერმანიასთან. მაშ ვისთან აქვს ამას დამოკიდებულება?

ამასო, ამბობენ, დამოკიდებულება აქვს მხოლოდ საოკუპაციო ხელისუფლებთან. მაგრამ საქმე ის არის, რომ საოკუპაციო ხელისუფალთა ეს მოქმედება რეალურად, ფაქტიურად მიმართულია გერმანიის საბჭოთა ზონის მოსახლეობისა და ეკონომიკის ინტერესების წინააღმდეგ, მიმართულია იმ შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებითაც უნდა განისაზღვრებოდეს გერმანიის ეკონომიკის მდგომარეობაც და, მე ვიტყოდი, გერმანიის თვით ბედიც. ამიტომ უცნაური და უაზრო იქნებოდა მტკიცება, რომ ამგვარი ღონისძიებანი წარმოადგენენ მხოლოდ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ღონისძიებებს, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ გერმანიასთან, ისე როგორც უაზრობა იქნებოდა მტკიცება, რომ ის საპასუხო დაცვითი ხასიათის ღონისძიებანი, რომლებიც ასეთ გარემოებათა გამო საბჭოთა სამხედრო ხელისუფლებს უნდა მიეღოთ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში, რომ ეს ღონისძიებანი ეხებიან მხოლოდ საოკუპაციო ხელისუფალთ, მაგრამ არავითარი დამოკიდებულება გერმანიასთან არა აქვთ. მაშასადამე, როდესაც სურთ ფულის სეპარატული რეფორმით მოშალონ საბჭოთა ზონისა და ბერლინის ეკონომიკა, მაშინ თურმე ამას დამოკიდებულება არა აქვს გერმანიასთან. როცა, მეორე მხრივ, იღებენ ღონისძიებებს ეკონომიკის დასაცავად, რათა შემოფარგლონ ასეთ ღონისძიებათა საშიში და მავნე შედეგები, ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ არც ამ დაცვით ღონისძიებებს აქვთ რაიმე დამოკიდებულება გერმანიასთან. მაგრამ ეს არის წმინდა წყლის სოფისტიკა. ამგვარი სოფიზმების შემდეგ, რასაკვირველია, აღარა დარჩენიათ რა, თუმცა, ვიცი, რომ არიან მოსურნეები ასეთი სოფისტიკის მწვერვალამდე მივიდნენ.

107-ე მუხლში ლაპარაკია იმ მთავრობათა მოღვაწეობაზე, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ყოფილი მტრული სახელმწიფოს საქმიანობისათვის. 107-ე მუხლში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება იურიდიულ ძალას არ უკარგავს იმ მოქმედებას, რასაც მიმართეს ამ მოქმედებისათვის პასუხისმგებელმა მთავრობებმა და რასაც დამოკიდებულება აქვს სახელმწიფოსთან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში მტრული სახელმწიფო იყო. ნამდვილ მდგომარეობას, რაც დაკავშირებულია ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ხელისუფალთა უკანონო და არასწორ სეპარატულ მოქმედებასთან და იმ დაცვით ღონისძიებებთან, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფალნი მიმართავენ, პირდაპირი დამოკიდებულება აქვს გერმანიასთან. ეს მოქმედება მთლიანად შედის 107-ე მუხლის ცნებაში და ამ კონფლიქტის გადაწყვეტა და ყველა იმ საკითხის განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია მასთან, უნდა მიმდინარეობდეს ლეგალური გზით, რაც დაწესებულია სპეციალური შეთანხმებებით გერმანიის შესახებ.

ასეთი ლეგალური გზა უნდა იყოს სწორედ ამ საკითხის განხილვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში. გვეუბნებიან, დღემდე ოთხი სახელმწიფო ვერაფერზე ვერ შეთანხმდაო. მაგრამ მე გეკითხებით, და ამას გეკითხებით მით უფრო მეტი საფუძვლით, რომ ისინი, ვინც ამას ამბობენ, იმას წინააღმდეგი არიან, რომ ბერლინის საკითხი დაუკავშირდეს მთელი გერმანიის საკითხს, მე გეკითხებით — როდის და სად ეწეოდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო მოლაპარაკებას ბერლინის საკითხის შესახებ! თქვენ აყენებთ საკითხს ბერლინში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მაშ კეთილი ინებეთ და მითხარით, დაასახელეთ თარიღი, დაასახელეთ მონაწილენი, ბოლოს და ბოლოს დაასახელეთ თემა, დაასახელეთ გადაწყვეტილებანი, თუ ისინი მიღებულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ, რომელმაც განიხილა ბერლინში შექმნილი მდგომარეობის საკითხი.

მე ვამტკიცებ, რომ ეს საკითხი არავის არ განუხილავს. იყო მოლაპარაკება მოსკოვში, რასაც ეწეოდნენ რობერტსი, სმიტი და შათენიო. ამ პირებმა განაცხადეს (და ეს, სხვათა შორის, ასახულია სამი სახელმწიფოს 26 სექტემბრის ნოტაშიც), რომ მოლაპარაკება მოსკოვში სხვა არა იყო რა თუ არა **informad dissecution** (არაოფიციალური მოლაპარაკება). უფრო მეტიც, რობერტსონმა ისიც კი განაცხადა, რომ, თუ მოხერხდა მოსკოვში მოლაპარაკების დაწყება და ამით კარი გაიღო, მაშინ მოლაპარაკების წარმოება, ცხადია, მიენდობა უფრო პასუხისმგებელ პირს, ვიდრე მე ვარო. ამერიკის წარმომადგენელმა სმიტმა აგრეთვე განაცხადა მოსკოვში, რომ ელჩების ამოცანაა ჩამოაყალიბონ თავისი მთავრობების პოზიციები, გამოარკვიონ საბჭოთა მთავრობის პოზიცია და განიხილონ საკითხი შემდგომ მოლაპარაკებაზე პრინციპული თანხმობის შესახებ.

ამრიგად, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს არ განუხილავს ბერლინის საკითხი, თუმცა სწორედ ის არის მოწოდებული განიხილოს ეს საკითხი იმ შეთანხმებათა მიხედვით, რომლებიც დიდ სახელმწიფოთა შორის დადებულია ბერლინისა და გერმანიის შესახებ.

ახლა კვლავ სურთ გვერდი აუარონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და რადაც უნდა დაუჯდეთ ეს საკითხი შეიტანონ უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში. ასეთი სიჩქარე მეტად ეჭვმისატანია. ჩვენ ამჟამად ისეთი მდგომარეობის წინაშე ვიმყოფებით, რომ უგულებელჰყოფენ კანონიერ ორგანოს, რომელიც შექმნილია დიდ სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო შეთანხმებათა წესით, — საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს. ამის გამართლებას იმით ცდილობენ, თითქოს დღემდე წარმოებულ მოლაპარაკებას არავითარი დადებითი შედეგი არ გამოუღია, რამაც გამოიწვია ამ საკითხის უშიშროების საბჭოსათვის გადაცემაო. მაგრამ ასეთი მოლაპარაკება ხომ არ ყოფილა. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში არ ყოფილა მოლაპარაკება ბერლინის საკითხზე. მოსკოვში იყო წინასწარი მოლაპარაკება, არაოფიციალური დისკუსია. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავისი სიტყვა არ უთქვამს.

განა ამ შემთხვევაში მართალი არ არიან ისინი, ვინც ამბობს, რომ სამი მთავრობა, რომლებმაც უშიშროების საბჭოს მიმართეს, ისეთ მიზნებს ისახავს, რომელთაც გერმანიის საკითხის მოწესრიგებისაკენ ნამდვილ მისწრაფებასთან საერთო არა აქვს რა?

მე უკვე არ ვეხები საკითხს მშვიდობისა და უშიშროებისათვის საფრთხის შესახებ, რაც თითქოს ბერლინში არსებული მდგომარეობით შეიქმნა. ეს საკითხი სრულიად ცხადად უნდა ჩაითვალოს. სრულიად დაუსაბუთებელია სამი დასავლეთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ მშვიდობისა და უშიშროებისათვის მოჩვენებითი საფრთხის, შიმშილის საფრთხისა და ბერლინის მუნიციპალიტეტის მოსასპობად საბჭოთა მთავრობის რაღაც ძალადურ ღონისძიებათა დამოწმება. ეს გაბათილებულია საბჭოთა მთავრობის 3 ოქტომბრის ნოტით და ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია მეტ ხანს შევჩერდე ამ საკითხზე.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო საბჭოთა მთავრობას არასწორად მიაჩნია უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ბერლინის საკითხის შეტანა. საბჭოთა დელეგაცია ამ წინადადების წინააღმდეგია.

---

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე

## ატომის კომისიის მოხსენებათა განხილვის განგრძობა

**პარიზი**, 5 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა ატომის კომისიის მოხსენებათა განხილვა.

ატომის კომისიის მუშაობის შეწყვეტა, რასაც კანადის დელეგაციის მიერ კომიტეტში შეტანილი რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს, მზადდებოდა იმ საბაბით, რომ ატომის კომისიის შემდგომი მუშაობა შეუძლებელია იმის გამო, რომ სსრ კავშირი თითქოს მოითხოვს დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის დადებით, ისე, რომ მიღწეულ არ იქნას შეთანხმება და არ დაიდოს კონვენცია ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესების შესახებ. ეს ცრუ ვერსია, რაც ინგლის-ამერიკის ბლოკმა გაავრცელა და რასაც მისმა მორჩილმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა, რათა ხელი შეეშალა ატომის ენერგიის საკითხზე რაიმე შეთანხმების მიღწევისათვის და ამისი ბრალი სსრ კავშირისათვის დაეკისრებინა, საბოლოოდ მხილებულ იქნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვიშინსკის სიტყვებში, აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების დელეგატების გამოსვლებში.

ვიშინსკის მიერ 2 ოქტომბერს შეტანილმა საბჭოთა წინადადებებმა საბოლოოდ გამოაცალეს ფეხქვეშ ნიადაგი ინგლის-ამერიკის უმრავლესობას და ეს ბლოკი აიძულეს ახალი მანევრისათვის მიემართნა.

როგორც კომიტეტში დღევანდელმა კამათმა ცხადჰყო, ინგლის-ამერიკის ბლოკის მანევრი ისეთია, რომ, ერთი მხრივ, პირდაპირ არ იქნას უარყოფილი საბჭოთა წინადადება ატომის კომისიის მუშაობის განგრძობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ეს წინადადება დასამარებულ იქნას იმ მიუღებელი მოთხოვნით, რომ ატომის კომისიამ თავის მომავალ გადაწყვეტილებებს უკვე წინასწარ დაუდოს საფუძვლად ამერიკული გეგმა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ერთ-ერთ წინა სხდომაზე შეტანილი სირიის დელეგაციის შესწორება კანადის რეზოლუციაში, შესწორება, რომელიც ითვალისწინებს, რომ ატომის კომისიის მუშაობა უნდა განგრძელდეს ამერიკული გეგმის საფუძველზე.

დღეს ავსტრალიის დელეგატებმა და განსაკუთრებით სალვადორისა და ფილიპინების დელეგატებმა, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მეტად მაღალფარდოვანად, მაგრამ მიზანსწრაფულად გამოსთქვეს აზრი იმ შესწორების მიხედვით, რომელიც არსებითად არაფერს არა სცვლის კანადის რეზოლუციაში და მიზნად ისახავს რადაც უნდა დაჯდეს დაასამაროს წინადადება ატომის კომისიის მუშაობის განგრძობის შესახებ.

ამრიგად, ინგლის-ამერიკის ბლოკმა არსებითად მოაწყო შეთქმულება, რათა ჩაშალოს საბჭოთა წინადადება, რომელიც საფრანგეთის მემარჯვენე პრესასაც კი არ შეეძლო არ ეღიარებინა კონსტრუქციულ წინადადებად, რომელიც ატომის ენერგიის საკითხზე შეთანხმების მიღწევის საშუალებას იძლევა. მართალია, კანადის დელეგატმა, რათა რამდენადმე შეენიღბა ამ შეთქმულების არსებობა, წარმოსთქვა სიტყვა, რასაც მიზნად ჰქონდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს იგი სხვა პოზიციაზე დგას, ვიდრე ინგლის-ამერიკის ბლოკის სხვა წარმომადგენლები. მაკნეილის მსგავსად, მან ვითომ გამოიჩინა მეტი „შეურიგებლობა“, ვიდრე ამ ბლოკის ქვეყნების დანარჩენმა დელეგატებმა. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ატომის კომისიის მუშაობის განგრძობის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ გამოძებნილ იქნა „ერთხმივობის ფართო საფუძველი“. კანადის დელეგატს არ დაუტოვებია იმის ეჭვი, რომ ამით ის გულისხმობს ატომის კომისიის „უმრავლესობის წინადადებათა“, ესე იგი ამერიკული გეგმის უსიტყვო მიღებას.

კანადის დელეგატის ამ ცდების ნამდვილი არსი გუშინ გამოააშკარავა უკრაინის დელეგატმა მანუილსკიმ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლემენტისმა დამაჯერებლად და სამართლიანად გააკრიტიკა ამერიკული გეგმის არსი და პოზიცია უმრავლესობისა, რომელმაც ატომის კომისიის მუშაობა ჩიხში მოაქცია. კლემენტისმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს 2 ოქტომბერს შეტანილ საბჭოთა რეზოლუციას, ვინაიდან იგი გზას იძლევა შეთანხმების მისაღწევად.

ბელორუსიის დელეგატმა კისელიოვმა, რომელიც დღეს გამოვიდა კომიტეტის სხდომაზე, ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადჰყო ინგლის-ამერიკის უმრავლესობის ნამდვილი მიზნები. კისელიოვმა ფაქტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით ცხადჰყო, რომ პასუხისმგებლობა კომისიის მუშაობის ჩაშლისათვის აკისრია ატომის კომისიის ინგლის-ამერიკულ უმრავლესობას. კისელიოვმა დაასურათა ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ დაიდოს კონვენცია ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატ ოსტინის გუშინდელი განცხადება, რომელმაც თავი მოიმიამიტა და თავისი გამოსვლის დროს პოლიტიკურ კომიტეტში იკითხა, ატომური იარაღი რა არისო?

კისელიოვმა უპასუხა ამერიკის დელეგატს, რომელმაც მიამიტობის ნიღაბი ჩამოიფარა, და სთქვა:

„ყველა აქ დამსწრეს, ბ-ნო ოსტინ, მშვენივრად გაეგება, რომ ატომური ბომბი არ არის მარტო ლითონის გარსი, მოდით, ბ-ნო ოსტინ, მოვსპოთ უკვე დატენილი „ლითონის გარსები“, ან, როგორც მათ კიდევ ეძახიან, ატომური ბომბები. მოდით, ავკრძალოთ ისინი და კანონს გარეთ გამოვაცხადოთ. მოდით, მოვამზადოთ და დავდოთ კონვენცია ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და კონვენცია ატომის ენერგიისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ და ერთდროულად ავამოქმედოთ ისინი“.

დასასრულ კისელიოვმა განაცხადა, რომ ბელორუსიის დელეგაცია უარჰყოფს კანადის რეზოლუციას და მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილ რეზოლუციას, ვინაიდან ეს რეზოლუცია გამსჭვალულია მტკიცე განზრახვით — თავიდან ავაშოროს ატომის ენერგიის — დიადი მეცნიერული აღმოჩენის კაცობრიობის ინტერესების საზიანოდ გამოყენების საფრთხე.

# უშიშროების საბჭოში

**პარიზი**, 6 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინწინ და გუშინ საბჭოთა დელეგაციამ ამხილა ისინი, ვინც ცდილობდა უშიშროების საბჭოს ტრიბუნა გამოეყენებინა საბჭოთა კავშირისადმი მტრული ხმაურის გასაჩაღებლად ეგრეთწოდებული ბერლინის საკითხის გამო. მან დაამტკიცა, რომ ამ საკითხის განხილვა არ შედის უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში, რომ ეს საკითხი შედის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომპეტენციაში, რომელსაც დიდ სახელმწიფოთა შეთანხმებით პირდაპირ აქვს დაკისრებული გერმანიასთან სამშვიდობო მოწესრიგება და, მაშასადამე, ამასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაჭრა.

უშიშროების საბჭოსათვის ბერლინის საკითხის გადაცემის რაიმე საფუძვლის უქონლობისა და ასეთი გადაცემით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევის გამო, აგრეთვე გერმანიის შესახებ დიდ სახელმწიფოთა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევის გამო, საბჭოთა დელეგაციამ უარი სთქვა მონაწილეობა მიეღო უშიშროების საბჭოს მიერ ამ საკითხის განხილვაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებმაც მიაღწიეს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ბერლინის საკითხის შეტანას, ემყარებიან ისეთ მოსაზრებებს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ბერლინის საკითხის მოწესრიგებისაკენ ნამდვილ მისწრაფებასთან.

ამასთან დაკავშირებით დღეს პარიზის პრესა აღნიშნავს, რომ პროპაგანდისტულმა მანევრმა, რომელიც გამოიხატა სამი სახელმწიფოს მიერ ამ საკითხის უშიშროების საბჭოში გადაცემით, მარცხი განიცადა. გაზეთი „ფრან-ტირერი" აღნიშნავს, რომ „არ შეიძლება საბჭოთა პოზიციას წაართვათ მისი ულმობელი ლოგიკა" და სწერს, რომ „გერმანიის საქმე, რასაკვირველია, უფრო უნუგეშოა სამი ბრალმდებლისათვის, ვიდრე ერთადერთი ბრალდებულისათვის". მეორე მხრივ გაზეთი „კომბა" აღნიშნავს, რომ „საბჭოთა დელეგატის უარი კამათში მონაწილეობაზე ძალიან ავიწროვებს იმათ, ვინც ფიქრობდა, რომ საბჭო მას საბრალდებო განაჩენს გამოუტანდა".

შემთხვევითი როდია, რომ უშიშროების საბჭოს დღევანდელი სხდომა ნახევრად ცარიელ დარბაზში ჩატარდა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა დელეგაციამ ამხილა უშიშროების საბჭოში ბერლინის საკითხის დაყენების ნამდვილი მიზეზი, პარიზის საზოგადოებრიობა აშკარად კარგავს ინტერესს ამ საკითხზე შემდგომი კამათისადმი.

მთელი დღევანდელი დილის სხდომას მხოლოდ ერთი საათი დასჭირდა, რაც ამერიკის დელეგატის ჯესეპის გამოსვლას მოუნდა. ჯესეპმა ვერ გაბედა სადავოდ გაეხადნა საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლის თანახმად უშიშროების საბჭოს კომპეტენციას არ შეადგენს განიხილოს ეგრეთწოდებული ბერლინის საკითხი. საბჭოთა დელეგატის გამოსვლის ამ ნაწილისათვის, ისევე როგორც მთელი მისი გამოსვლისათვის, ჯესეპმა არჩია დუმილით აევლო გვერდი. მან მთელი თავისი სიტყვა მოანდომა იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის „თეთრი წიგნიდან" ნასესხებ მთელ რიგ დაუსაბუთებელ და უაზრო განცხადებათა გამეორებით საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გერმანიაში ჩატარებული ღონისძიებანი დაესახა ისე, როგორც მოქმედება, რომელმაც ვითომდა საფრთხე შეუქმნა მშვიდობასა და უშიშროებას. ამასთან ჯესეპი ცდილობდა არ შეხებოდა გერმანიის გათიშვის იმ პოლიტიკის საკითხს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ატარებენ მათ მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა საწინააღმდეგოდ და რომელიც სწორედ წარმოადგენს მთავარ მიზეზს, რამაც გამოიწვია საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების მიერ დამცველ ღონისძიებათა მიღება გერმანიის და ბერლინის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ეკონომიკისა და მოსახლეობის ინტერესთა დასაცავად.

ფაქტების მოურიდებელი დამახინჯებისა და ყალბი მტკიცების გზით, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ცდილობდა დამახინჯებულად წარმოედგინა ის ღონისძიებანი, რომლებიც გერმანიის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებმა გაატარეს გერმანიის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების დეზორგანიზატორულ ღონისძიებათა დამღუპველი შედეგების აღკვეთის მიზნით. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ისიც კი განაცხადა, თითქოს დასავლეთი სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფლებმა გადასწყვიტეს ფულის სეპარატული რეფორმა გავრცელებინათ ბერლინის დასავლეთ სექტორებზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანიის საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გაატარა ფულის სეპარატული რეფორმა საბჭოთა ზონაში. ამავე დროს ყველასათვის ცნობილია, რომ ნამდვილად ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებმა ჩაშალეს მოლაპარაკება გერმანიაში ფულის ერთიანი რეფორმის გატარების შესახებ და უკანონოდ გაატარეს 18 ივნისს ფულის სეპარატული რეფორმა დასავლეთ ზონებში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ეს რეფორმა გაავრცელეს ბერლინის დასავლეთ სექტორებზე. მხოლოდ ექვსი დღის შემდეგ, 24 ივნისს, საბჭოთა ხელისუფლები იძულებული გახდნენ თავის მხრივ გაეტარებინათ ფულის რეფორმა თავიანთ ზონაში. აბსოლუტურად ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი ღონისძიების გაუტარებლად საბჭოთა ზონა აივსებოდა დასავლეთ ზონებში ლიკვიდირებული ძველი ფულის ნიშნებით და საფრთხე შეექმნებოდა საბჭოთა ზონისა და ბერლინის მთელ ეკონომიურ ცხოვრებას. მაგრამ აგრეთვე ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფალნი ვერ დაუშვებდნენ.

ამერიკის წარმომადგენელმა ცოტა ღონისძიება როდი იხმარა იმისათვის, რომ ცდილიყო დაემტკიცებინა უშიშროების საბჭოში დასავლეთის სამი სახელმწიფოს მიერ გაგზავნილ მიმართვაში მოყვანილი დებულების სისწორე, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებმა შემოიღეს ბერლინის „საშიმშილო ბლოკადა" და დღემდე მხარს უჭერენ მას. ამასთან ამერიკის წარმომადგენელი იქამდე მივიდა, რომ „პროპაგანდისტულ მანევრად" გამოაცხადა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ბერლინის მთელი მოსახლეობის მომარაგების საკუთარ თავზე აღების შესახებ და ცდილობდა ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი დამახინჯებულად წარმოედგინა. ამერიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება ბერლინის მთელი მოსახლეობის მომარაგების შესახებ არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო პრაქტიკულად, ვინაიდან ბერლინის დასავლეთი სექტორების მცხოვრებლები იძულებული იყვნენ ვითომდა რამდენიმე ათეული კილომეტრი გაევლოთ საბჭოთა ზონაში, რათა მიეღოთ პროდუქტები საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ფონდიდან. რასაკვირველია, ამასთან ამერიკის წარმომადგენელმა არაფერი სთქვა იმის შესახებ, რომ ამერიკისა და ბრიტანეთის ხელისუფალნი ბერლინში ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ბერლინის დასავლეთი სექტორების მცხოვრებლებს მიეღოთ სურსათი ბერლინის საბჭოთა სექტორში. მან არაფერი სთქვა იმის შესახებაც, რომ დასავლეთის სამხედრო ხელისუფლებმა და ეგრეთწოდებულმა ბერლინის მაგისტრატმა, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ინგლის-ამერიკის სარდლობის აპარატს, ნება არ დართეს საბჭოთა სამხედრო ხელისუფლებს მოეწყოთ მაღაზიები ბერლინის დასავლეთ სექტორებში, რათა შეექმნათ ამ სექტორების მოსახლეობისათვის სათანადო პირობები. უფრო მეტიც, არის მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამერიკისა და ბრიტანეთის ხელისუფლები სდევნიდნენ ბერლინის დასავლეთი სექტორების მცხოვრებლებს, რომლებიც სურვილს გამოსთქვამდნენ მიეღოთ სურსათი საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების ფონდებიდან. ამერიკის ხელისუფლებმა ბერლინის მოქალაქეებს, რომლებიც ამერიკულ სექტორში ცხოვრობდნენ, შემდეგი შინაარსის ხელწერილებიც კი ჩამოართვეს:

„ვადასტურებ, რომ წავიკითხე და გავიგე ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის განკარგულება, რომელიც მე მომეცა და რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის სექტორში ჩემთვის მოცემული სასურსათო ბარათები არ უნდა გადავცვალო ბერლინის რუსულ სექტორში და არ უნდა გადავცე ეს ბარათები ვისმე გადასაცვლელად".

აქ არავითარი კომენტარი არ არის საჭირო.

ცნობილია აგრეთვე მრავალი ფაქტი, როცა მხოლოდ იმის ცდისათვის, რომ მიეღოთ სურსათი საბჭოთა სექტორის მაღაზიებიდან, ამერიკისა და ბრიტანეთის ხელისუფალნი ემუქრებოდნენ ბერლინის დასავლეთი სექტორების მცხოვრებლებს სამუშაოდან დათხოვნით და ბინიდან გასახლებითაც კი.

რასაკვირველია, ამერიკის წარმომადგენელმა არაფერი არ სთქვა იმის შესახებ, რომ ყოველდღიურად საბჭოთა ზონიდან ბერლინის დასავლეთ სექტორებში მიდის 900 ტონა სხვადასხვა სურსათი. ამერიკის წარმომადგენელი ყოველნაირად ცდილობდა რეკლამა გაეკეთებინა „საჰაერო ხიდისათვის" (მოკავშირეთა თვითმფრინავები, რომლებიც დაფრინავენ დასავლეთ ზონებსა და ბერლინს შორის) და მას ხატავდა როგორც დასავლეთ სახელმწიფოების ჰუმანურ ზრუნვას ბერლინის მოსახლეობის საჭიროებისათვის. მაგრამ ცნობილია მრავალი ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ „საჰაერო ხიდი" მნიშვნელოვანწილად გამოყენებულია იმისათვის, რომ ფარულად გაზიდონ ბერლინიდან ფასეულობანი და მოწყობილობა. ეს იძულებული იყო ეღიარებინა თავის გამოსვლაში უშიშროების საბჭოში ბრიტანეთის წარმომადგენელ კადოგანს, რომელმაც განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავარსარდალმა გამოსთქვა „მზადყოფნა შემოიღოს შემოწმების ზომები, რომლებიც საჭიროა საჰაერო გზით კონტრაბანდის აღსაკვეთად".

ამერიკის წარმომადგენელი გრძნობდა თავისი არგუმენტაციის სისუსტეს და ცდილობდა თავისი უსაფუძვლო განცხადებანი ბერლინის „საშიმშილო ბლოკადის" მოწყობის შესახებ განემტკიცებინა იმის დამოწმებით, თითქოს საბჭოთა სამხედრო ხელისუფლები გერმანიაში ცდილობდნენ მოეწყოთ... არეულობა ქალაქში, რათა ამით ზეგავლენა მოეხდინათ ბერლინის მაგისტრატზე.

მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ნამდვილად რბევა და არეულობა უკანასკნელი თვეების მანძილზე და განსაკუთრებით სექტემბერში, ხდებოდა არა საბჭოთა სექტორში, არამედ ბერლინის დასავლეთ სექტორებში? ვინ არ იცის, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლებმა გერმანიაში 1948 წლის იანვრიდან მოაწყეს „შავი გვარდიის" განსაკუთრებული რაზმები, რომლებიც სწავლობენ სპეციალურ სკოლებში ბერლინის მშრომელთა დემონსტრაციების წინააღმდეგ საბრძოლველად და ვარჯიშობენ ცრემლსადენი გაზების გამოყენებაში? საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის ხელისუფლებმა შეიმუშავეს სპეციალური ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუსწორონ ანგარიში „შავი გვარდიის" რაზმებმა ბერლინის მშრომელთა დემონსტრაციებს. 1947 წლის 26 სექტემბრს გამოცემული ინსტრუქციის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „სამრეწველო პოლიციამ" (ასე უწოდებენ ამერიკის ხელისუფლები „შავ გვარდიას") დემონსტრანტების წინააღმდეგ უნდა გამოიყენოს „მსუბუქი ძალადობა", როგორც მაგალითად, ბრანდსპოიტი, ცრემლსადენი გაზი... „უკეთუ,—ნათქვამია ინსტრუქციაში, — ეს არ გასჭრის, მაშინ მოახდინონ დამაშინებელი სროლა, იხმარონ რეზინის ხელკეტები". ინსტრუქციის მე-8 თავში აღნიშნულია, რომ ასეთი რაზმების უფროსებს შეუძლიათ უბრძანონ სასროლი იარაღის გამოყენებაც.

ისეთი ფაქტიც კი, როგორიც არის საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბერლინის პროფკავშირების განკარგულებაში საფეიქრო საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობის გადაცემა ყველაზე გაჭირვებული მუშებისათვის დასარიგებლად, ჯესეპი ცდილობდა აეხსნა იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებს ვითომდა სურდათ... ძირი გამოეთხარათ ბერლინის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობისათვის.

ძნელი წარმოსადგენია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო ცინიკური ცილისმწამებლური ჭორების გავრცელება.

თავის სიტყვაში ამერიკის წარმომადგენელი უხეშად ცდილობდა პასუხისმგებლობა მოეხსნა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გერმანიის ოთხმხრივი მართვის ჩაშლის გამო და ეს პასუხისმგებლობა დაეკისრებინა საბჭოთა ხელისუფალთათვის. ამავე დროს ყველასათვის ცნობილია, რომ დასავლეთი სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფალნი, ატარებდნენ რა თავიანთ უკანონო, გამთიშველ მოქმედებას დასავლეთ გერმანიაში მთელი 1947 წლისა და განსაკუთრებით 1948 წლის მანძილზე, სავსებით უგულებელჰყოფდნენ საკონტროლო საბჭოს და ცდილობდნენ იგი გადაექციათ თავიანთი სეპარატული მოქმედების საფარველად. საბჭოთა სარდლობა არა ერთხელ მოითხოვდა, რომ დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფლებს კეთილსინდისიერად შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან და შეთანხმებებიდან გერმანიაში საკონტროლო მექანიზმის, გერმანიის დემილიტარიზაციის, დემოკრატიზაციისა და დენაციფიკაციის, და მისი როგორც მთლიანი ეკონომიური და პოლიტიკური ერთეულის ოთხმხრივ საფუძველზე მართვის შესახებ.

ცნობილია, რომ გერმანიაში საკონტროლო მექანიზმის საქმიანობის შეწყვეტის ნამდვილი მიზეზი იყო დასავლეთ სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფალთა სეპარატული მოქმედება დასავლეთ გერმანიაში. თავიანთ სეპარატულ თათბირებზე ლონდონში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა იალტისა და პოტსდამის შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ გადასწყვიტეს შექმნათ დასავლეთ გერმანიის მთავრობა და დასავლეთი გერმანიის მოსახლეობისათვის საზავო ხელშეკრულების ნაცვლად, თავს მოახვიათ საოკუპაციო სტატუტი, აგრეთვე მიიღეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი რურის შესახებ, რაც მიმართული იყო იქითკენ, რომ რურის სამრეწველო აუზი გამოეყენებინათ თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელების ბაზად.

როცა საბჭოთა სარდლობამ მოითხოვა, რომ საკონტროლო საბჭოსათვის ეცნობებინათ ლონდონის სეპარატული გადაწყვეტილებები, დასავლეთი სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფლებმა ეს მოთხოვნა უარჰყვეს. ძალიან არადამაჯერებლად გაისმა ჯესეპის უხეში მსჯელობა იმის შესახებ, რომ ბერლინი ვითომდა „არ წარმოადგენს ოკუპაციის საბჭოთა ზონის ნაწილს, არამედ აშკარად გამოხატული შეთანხმებით წარმოადგენს საერთაშორისო ზონას". მაგრამ მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ბერლინი წარმოადგენს ოკუპაციის საბჭოთა ზონის გეოგრაფიულ და ეკონომიურ ცენტრს.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკის დელეგატმა მოანდომა სსრ კავშირის მთავრობასა და დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის მოსკოვის მოლაპარაკების შინაარსის ფრიად თავისუფალ გადმოცემას. ამასთან იგი იმეორებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყბადაღებული „თეთრი წიგნის" მტკიცებას, რომელიც ამ მოლაპარაკებას დამახინჯებულად ხატავს.

ინტერესმოკლებული არ არის ითქვას, რომ საფრანგეთის პრესაც კი აღნიშნავდა „თეთრი წიგნის" არაობიექტურობას და მოითხოვდა, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნოს მოსკოვის მოლაპარაკების „თავისი ვერსია".

თუ რამდენად უხეშად შეთითხნილი იყო ჯესეპის სიტყვის ეს ნაწილი, შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტით, რომ მან შესაძლებლად ჩასთვალა გაემეორებინა უშიშროების საბჭოს წინაშე საბჭოთა მთავრობის მიერ 18 სექტემბრის ნოტით უკვე უარყოფილი ვერსია იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა მთავარსარდალი ბერლინში მარშალი სოკოლოვსკი სამ სხვა მთავარსარდალთან მოლაპარაკების მსვლელობაში აყენებდა მოთხოვნებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის მთავრობასა და დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის მოსკოვში შეთანხმებულ დირექტივას კერძოდ, ჯესეპმა კვლავ აამოქმედა სამი სახელმწიფოს რეაქციული პრესის მიერ გამოგონილი მტკიცება, თითქოს სოკოლოვსკიმ მოითხოვა რაღაც ახალი შეზღუდვები საჰაერო მიმოსვლის დარგში. ამავე დროს, სინამდვილეში, როგორც ეს აღნიშნული იყო საბჭოთა მთავრობის 18 სექტემბრის ნოტით, საბჭოთა მთავარსარდალმა მხოლოდ ყურადღება მიაქცია იმის საჭიროებას, რომ სხვა სამმა მთავარსარდალმა ზუსტად დაიცვას საოკუპაციო ჯარებისათვის საჰაერო მიმოსვლის წესები, რაც დადგენილია საკონტროლო საბჭოს 1945 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით და რომელიც სადავოდ არ გაუხდია არც ერთ მთავარსარდალს სამი წლის მანძილზე. ასეთი დამახინჯება ჯესეპს იმისათვის დასჭირდა, რომ მოსკოვის მოლაპარაკების ჩაშლის პასუხისმგებლობა მოეხსნა დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებისათვის და დაეკისრებინა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისათვის მაგრამ, როგორც ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან სჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატს წარმატება არ ჰქონია ამ ამოცანის გადაჭრაში. პირიქით, მისმა გამოსვლამ უხვი მასალა მოგვცა, რომელიც ადასტურებს დასავლეთი სახელმწიფოების აგრესიულ პოლიტიკას მოქმედებაში.

საღამოს სხდომაზე გამოსულმა დიდი ბრიტანეთის დელეგატმა კადოგანმა და საფრანგეთის დელეგატმა პაროდიმ მიზანშეწონილად ჩასთვალეს დაჯერებოდნენ ყოველივე იმის თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სთქვა. თვალში გეცემოდათ, რომ კადოგანი და პაროდი, ისევე როგორც ჯესეპი, ყოველნაირად უვლიდნენ გვერდს იმ საკითხს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უშიშროების საბჭომ.

მას შემდეგ, რაც კადოგანმა და პაროდიმ თავიანთი სიტყვები წაიკითხეს, თავმჯდომარე ბრამუგლიამ (არგენტინა) გამოაცხადა, რომ მას განზრახული აქვს დახუროს სხდომა, ვინაიდან არავის სურს შენიშვნებით გამოვიდეს. ამან დამსწრენი დიდად გააოცა. ბრამუგლიამ დასძინა, რომ შემდეგი სხდომის დღეს თავმჯდომარე თავის დროზე აცნობებს უშიშროების საბჭოს.

ასე მოულოდნელად დამთავრდა უშიშროების საბჭოს ეს სხდომა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები დიდი ხანია ამზადებდნენ და რომელზედაც ეგრეთწოდებული ბერლინის საკითხის გარშემო ატეხილი ხმაურის ორგანიზატორები ასეთ იმედებს ამყარებდნენ. ამბობენ, რომ უშიშროების საბჭოს ის წევრებიც კი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების წინადადებას საბჭოს დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ, დარცხვენილად ეკითხებიან ერთიმეორეს: რით გათავდება ყოველივე ეს? ვნახოთ, რით გათავდება.

## ანა-ლუიზა სტრონგის ინტერვიუ

**ვარშავა**, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ცნობილმა ამერიკელმა პუბლიცისტმა და მწერალმა ანა-ლუიზა სტრონგმა, რომელიც ვარშავას ჩამოვიდა, გაზეთ „გლოს ლუდუ" კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი ჩინეთში უკანასკნელი მოგზაურობის შესახებ. უკვე შარშანდელი წლის მეორე ნახევარში, სთქვა ანა-ლუიზა სტრონგმა, ჩინეთის სახალხო არმიამ, მისი ხელმძღვანელობის შორსმჭვრეტელური ტაქტიკისა და მოსახლეობის მხარდაჭერის მეოხებით, ცალკეულ ფრონტებზე მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა გომინდანის ჯარების წინაშე და დიდ გამარჯვებებს მიაღწია. ამჟამად არა მარტო გადიდდა მოწინააღმდეგის ზარალი, არამედ შესამჩნევი გახდა სახალხო არმიის გადამწყვეტი სამხედრო უპირატესობა ყველა ფრონტზე. მოხდა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ცვლილებებიც. სახალხო არმიის უკანასკნელ გამარჯვებათა შედეგად უფრო დავიწროვდა რკალი მანჯურიაში გომინდანის ჯარების დასაყრდენი პუნქტების გარშემო და შეიქმნა პირობები მდინარე იანძის სამხრეთით შემდგომი შეტევისათვის.

ანა-ლუიზა სტრონგმა დაახასიათა ჩინეთის განთავისუფლებული რაიონების ხელმძღვანელები და აღნიშნა, რომ ხალხში განსაკუთრებით დიდი სიყვარული მოიპოვა კომპარტიის ლიდერმა მაო ძე-დუნმა, რომელიც არის მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი, პოლიტიკოსი და სტრატეგი. მას მასებზე დიდი გავლენა აქვს თავისი უბრალო ცხოვრებით. არანაკლებ პოპულარულია სახალხო არმიის მთავარსარდალი ჯუ დე, რომელიც მაო ძე-დუნთან ერთად 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს ჩინელი ხალხის ბრძოლას.

ანა-ლუიზა სტრონგი შეეხო ამერიკის ინტერვენციას ჩინეთში და სთქვა, რომ იყო დრო, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ჩინეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მაგრამ ეს დრო წავიდა. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები ისეთი ქვეყანაა, რომელიც ყველაზე მეტად სძულს ჩინელ ხალხს. ამ ცვლილებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკის ინტერვენციამ. პასუხისმგებლობა სისხლისმღვრელი გამანადგურებელი სამოქალაქო ომისათვის ჩინეთში, განაცხადა ანა-ლუიზა სტრონგმა, აკისრიათ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვინაიდან ამერიკის დახმარება და წაქეზება რომ არ ყოფილიყო, ჩან კაი-შის რეჟიმს არ შეეძლო ეს ომი ეწარმოებინა. როგორც ცნობილია, განაგრძო სტრონგმა, 1946 წლის იანვარში შესდგა „პოლიტიკური საკონსულტაციო თათბირი", რომელსაც დაესწრნენ კომუნისტური პარტიის, გომინდანისა და სხვა ჯგუფების წარმომადგენლები. ამ თათბირის ამოცანა იყო მთელი ჩინეთისათვის კოალიციური მთავრობის შექმნა. მაგრამ თათბირი ჩაშალეს გომინდანელებმა, რომელთაც იმედი ჰქონდათ ამერიკელთა დახმარებით კონფლიქტი იარაღით გადაეჭრათ თავიანთ სასარგებლოდ.

ანა-ლუიზა სტრონგი შეეხო ჩინელი ხალხის ბრძოლის პერსპექტივებს და აღნიშნა, რომ ჩან კაი-ში და მისი მოკავშირეები ვერ შესძლებენ შეაჩერონ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ძლევამოსილი შეტევა და ხელი შეუშალონ იმ სახალხო კოალიციის წარმატებათა უზრუნველყოფას, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

## იაპონიის მთავრობა გადადგა

**ტოკიო**, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ასიდას კაბინეტი გადადგა კაბინეტის საგანგებო სხდომის შემდეგ, რაც დღეს ნაშუადღევის 2 საათზე შესდგა.

თავის განცხადებაში ასიდას არ დაუმალავს, რომ გადადგომის მთავარი მიზეზი გახდა კომპანია „სიოვა დენკოს" აფიორის გამომჟღავნება, რის შედეგადაც დაპატიმრებულ იქნა მინისტრი კურუსუ. როგორც იაპონურ პრესაში აღნიშნავდნენ, „სიოვა დენკოს" საქმეში გარეული იყვნენ მთავრობის სხვა წევრებიც.

## მიწისძვრა ირანში

**თეირანი**, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთების ცნობების თანახმად, 5 ოქტომბერს ღამით მეშჰედის რაიონში მიწისძვრა მოხდა, რომლის დროსაც თვით მეშჰედში დაიღუპა 200-მდე და დაშავდა 2 ათასამდე კაცი. იუწყებიან, რომ მიწისძვრამ დიდი ნგრევა გამოიწვია.



კადრი ფილმიდან „ახალგაზრდა გვარდია"

## კინო

### „ახალგაზრდა გვარდია"

„გლავკინოპროკატის" საქართველოს კანტორა 11 ოქტომბრიდან რესპუბლიკის კინოთეატრების ეკრანებზე გამოუშვებს ახალ მხატვრულ ფილმს „ახალგაზრდა გვარდიას", რომელიც მიძღვნილია ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXX წლისთავისადმი.

კინოფილმი „ახალგაზრდა გვარდია" საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი მიღწევაა. ფილმი ასახავს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დონბასში. „ახალგაზრდა გვარდია" ნათლად გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების კეთილშობილებას, ჩვენი ახალგაზრდობის მაღალ მორალურ თვისებებს, მის უსაზღვრო ერთგულებას სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი.

ფილმში დიდი მხატვრული სიძლიერით არის ნაჩვენები ბოლშევიკური პარტიის როლი გერმანელ ფაშისტთა განადგურების ორგანიზაციასა და მათგან საბჭოთა მიწის განთავისუფლების საქმეში. სწორად არის გაშუქებული საბჭოთა არმიის მოქმედება და საბჭოთა ორგანოების მიერ ორგანიზებულად ჩატარებული ევაკუაცია მოსახლეობისა და სამრეწველო მოწყობილობისა ფრონტისპირა ზოლიდან.

ფილმი იწვევს საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობას და მაყურებელს ავსებს სიამაყით ჩვენი სახელოვანი, კეთილშობილური სტალინური ახალგაზრდობისადმი, რომელმაც არ იცის შიში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს პატიოსნებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ფილმი „ახალგაზრდა გვარდია" შექმნილია ა. ფადეევის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. სცენარი და დადგმა ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. გერასიმოვს, მთავარი ოპერატორია სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. რაპოპორტი, კომპოზიტორი სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ სახალხო არტისტი დ. შოსტაკოვიჩი, მხატვარი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. სტეპანოვი.

ფილმი გადაღებულია მ. გორკის სახელობის მხატვრული ფილმების მოსკოვის კინოსტუდიაში.

„ახალგაზრდა გვარდია" გამოშვებულია ორ სერიად. როლებს ასრულებენ არტისტები: ვ. ბოხრიაკოვი (პროცენკო, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი), სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ დამსახურებული არტისტი თ. მაკაროვა (კოშევაია), ვ. ივანოვი (ოლეგ კოშევოი), ე. ანუფრიევა (დიდედა ვერა), ნ. მორდიუკოვა (ულიანა გრომოვა), ი. მაკაროვა (ლიუბოვ შევცოვა), რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. პანოვა (შევცოვას დედა), ს. გურზო (სერგეი ტიულენინი), ო. ივანოვა (ნადეჟდა ტიულენინა), ბ. ბიტიუკოვი (ივანე ზემნუხოვი), გ. რომანოვი (ივანე ტურკენიჩი), ლ. შაგალოვა (ვალერია ბორცი), გ. მგელაძე (კორა არუთინიანცი), ე. მორგუნოვი (ევგენი სტახოვიჩი), ს. ბონდარჩუკი (ვალკო) და ა. ანტონოვი (იგნატ ფომინი).

## ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადა

10 ოქტომბერს, სომხეთის სსრ დედაქალაქ ერევანში დაიწყება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სპორტსმენთა ტრადიციული სპარტაკიადა. საუკეთესო სპორტსმენები და გუნდები შეეჯიბრებიან ერთმანეთს ფეხბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ცურვაში, სიმძიმეთა აწევაში, კრივში, ველოსიპედში, ჭიდაობაში, ჩოგბურთში, ტანვარჯიშსა და მრავალში.

სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ერევანში გაემგზავრა სასპორტო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები: ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, გ. ვართანოვი, ა. ნავასარდოვი, მ. კასიანი, სპორტის ოსტატები: ბ. ძღენტი, შ. ნოზაძე, დ. ციმაკურიძე, ვ. მაჩკალიანი, ნ. თაყაიშვილი, ლ. სანაძე და სხვები, სულ 200 კაცი.

## მოჭადრაკე ქალთა საკავშირო შეჯიბრება

11 ოქტომბრიდან თბილისში ტარდება მოჭადრაკე ქალთა მეთერთმეტე საკავშირო პირველობის ნახევარფინალი.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 14 მოჭადრაკე ქალი—მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, აშხაბადის და სვერდლოვსკის წარმომადგენლები. საქართველოდან ნახევარფინალში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ჩემპიონი ლ. წულოვანი. კანდიდატებად ჩარიცხული არიან ქ. გოგიავა და ვ. ზარგარიანი.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნულია ა. ფალავანდიშვილი.

## ლექცია

სამშაბათს, 12 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ე. თაყაიშვილი** წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მოკლე მიმოხილვა"**.

ლექცია ილუსტრირებული იქნება ეპიდიოსკოპით.

## კინოებში

**9 ოქტომბერს**: **„რუსთაველი"**, **„თბილისი"** —„გადარჩენილი დროშები"; **„ამირანი"**—„გადარჩენილი დროშები" (საზაფხულო დარბაზი), „ღამურა" (საზამთრო); **„ოქტომბერი"**, **„სპარტაკი"**—„რობინზონ კრუზო"; **„კომკავშირელი"**—„მეზღვაურის ქალიშვილი" (საზამთრო დარბაზი), სომხური კინოკონცერტი (საზაფხულო); **26 კომისრის სახელობის**—„გადარჩენილი დროშები" (საზამთრო დარბაზი), „რობინზონ კრუზო" (საზაფხულო).

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

## თეატრებში

**ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — 9-X **„კარმენ"** (I აბ. 2 წარმ.), 10-X **„სევილიელი დალაქი"** (დღისით), **„დონკიხოტი"** (10 აბ. 2 წარმ., საღამოს);

**რუსთაველის სახელობის** — 9-X **„ერთი ღამის შეცდომები"** (8 სერ. I წარმ.), 10-X **„დალატი"** (დღისით), **„დალატი"** (7 სერ. I წარმ. საღამოს);

**მარჯანიშვილის სახელობის**—9-X **„გულხუნდა"** (11 სერ. I წარმ.), 10-X **„ყვარყვარე თუთაბერი"** (დღისით და საღამოს);

**გრიბოედოვის სახელობის** — 9-X **„თქვენ გიხმობთ ტაიმირი"** (6 აბ. I წარმ.), 10-X **„თქვენ გიხმობთ ტაიმირი"** (დღისით), **„პროვინციული ისტორია"** (7 აბ. I წარმ.);

**სომხური დრამა** — 9-X **„ვერაგობა და სიყვარული"** (9 აბ.), 10-X **„ვერაგობა და სიყვარული** (6 აბ., დღისით), **„ოტელო"** (საღამოს);

**მოზარდ მაყურებელთა ქართული** —9-X **„წითელქუდა"** (26 აბ., 4 ს.), **„ბაშიაჩუკი"** (3 აბ., 8 ს.), 10-X **„წითელქუდა"** (40 აბ., 12 ს.), **„სურამის ციხე"** (9 აბ., 8 ს.).

**კაგანოვიჩის სახელობის რუსული მოზარდ მაყურებელთა** — 9-X **„ჩექმოსანი კატა"** (14, 18, 26 აბ., 1 ს.), **„კრაზანა"** (136 აბ., 8 ს.), 10-X **„თოვლის გუნდა"** (124 აბ., 10 ს., 100 აბ., 2 ს.), **„კრაზანა"** (136 აბ., 8 ს.).

---

მოქალაქე **ტატიანა ვლადიმერის ასულმა ბელოუსოვამ**, მცხოვრებმა ნინოშვილის ქ. № 45, აღძრა საქმე დიღუბის ქ. № 26 მცხოვრებ მოქალაქე **შალვა მიხეილის-ძე ქაცარავასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

---

25-ე ქალთა სკოლის XI² კლასის მოსწავლეები იუწყებიან მასწავლებელ ნინო ბებურიშვილის მამის **ნიკოლოზ ილიას-ძე ბებურიშვილის** გარდაცვალებას.

---

რკინიგზის № 2 ქალთა საშუალო სკოლა იუწყება, რომ 10-X, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის **მარიამ ალექსანდრეს ასულ მიხაილოვას** პანაშვიდი.

---

მეუღლე ვალიდა, შვილები მერი, ნოდარ, ძმა ლონგინოზ იუწყებიან **ლავრენტი ისიდორეს-ძე მოგელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-X, 7 ს. გამოსვენება 10-X, 3 ს. მარის, 54.

---

მარო, ნელი, მერი, არონ, თამარ, ანტიპასი, სინო, სარა, ევლამპი, ნადია, ალექსანდრა, ეთერ კალანდარიშვილები იუწყებიან, რომ 10-X ს. ნიგოითში დანიშნულია **ირადიონ და რევაზ კალანდარიშვილების** პანაშვიდი.

---

თბილისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ დ. ჯალაღანიას მისი დედის **თებრონეს** გარდაცვალების გამო.

---

გიორგი, ვენერა, დალი და ლალი რაქვიაშვილები, ანა, ნელი ჭყონიები თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ჯიქიას მისი მამის **ილარიონ დიმიტრის-ძე ჯიქიას** გარდაცვალების გამო.

---

დები ეკატერინე, მარო, ლუბა, ელენე, სიძეები ა. ლაპარტყავა, ი. ქადეიშვილი, ი. ხვედელიანი იუწყებიან, რომ 10-X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე გძელიშვილის** პანაშვიდი.

---

დედა ნუშა, მეუღლე ნინო, შვილები ეთერ, შოთა, ცისნამი, ძმა მათე, დები მარგო, დარიკო, ანა, სიძეები პეტრე, გიგა, გერონტი, რძალი მარო, ანა, მარო იუწყებიან **შალვა ივანეს-ძე ხათაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-X, 7 ს. გამოსვენება 10-X, 3 ს. ალმასიანის, 17.

---

მეუღლე მარიამ, შვილები თამარ, ვახტანგ, შოთა ოჯახებით, დები ოლღა, მარიამ და ნინო იუწყებიან, რომ 10-X, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ივანე ბესარიონის-ძე ნაცვლიშვილის** პანაშვიდი.

---

ძმები არჩილ და შალვა, ძმისწული სანდრო ოჯახებით იუწყებიან რომ 10-X, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვარლამ ანდრიას-ძე არჩვაძის** პანაშვიდი.

---

დედა კატო, მამა შოთა, და გულნარა, მამიდები ანა და თამარ პეტრიაშვილები იუწყებიან, რომ 10-X ქ. თელავში დანიშნულია **ჯიმშერ შოთას-ძე პეტრიაშვილის** პანაშვიდი.

---

მეუღლე ლუბა, შვილები ნოდარ, მერი, მურთაზ, სიმამრი გიგო კერესელიძე შვილებით იუწყებიან, რომ 10-X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე გძელიშვილის** პანაშვიდი.

---

ბირდღი, კოლია, ალიოშა, ილია მირცხულავები, კოლია ხუნტუა ოჯახებით, ფაცუ, შურა და ტატიანა მირცხულავები იუწყებიან **ალექსანდრა მირცხულავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-X, 3 ს. კიბალჩიჩის შესახ., 8.

---

კაკო, თამარ, შურა ჭეიშვილები, ლენა და სპირიდონ გარდაევები, ანა და ბეჟან ქართველიშვილები იუწყებიან **გიორგი ალექსის-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-X, 7 ს. გამოსვენება 10-X, 2 ს. ლენინგრადის, 2.

---

თბილისის მე-4 მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის პედაგოგები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მასწავლებელ ქსენია ჯიქიას მისი მამის **ილარიონ დიმიტრის-ძე ჯიქიას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 10-X ქ. ქუთაისში.

---

თ. დარახველიძე, ა. ფირცხალაიშვილი, გ. ოქროაშვილი, შ. აბაიშვილი, ა. კვასხვაძე, ა. შარაშენიძე, ი. ფაილოძე, შ. გიგაშვილი, ე. კალანდაძე და ვ. ტატიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დ. ჯალაღანიას მისი დედის **თებრონეს** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-78-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 14905